ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 25 სექტემბერი, 2020 №202 (8466) ფასი: 60 თეთრი

„გიგა ტატიაშვილი და მერსედესის სხვა 5 მგზავრი ჩხუბში მონაწილეობდნენ“

იაკობ ბრეგვაძემ ჩვენება მისცა

გვ.5

„ოჟრიაშვილ-ჩოჩელი „ოცნებამ“ დასახმარებლად გადასვა ნაციონალურ მოძრაობაში“

გვ.3

ლადო სადღობელაშვილი: „ბოკერია თამაშობდა ხელისუფლების თამაშს, უფრო ზუსტად, კვირიკაშვილის თამაშს. დღეს კი „ოცნებამ“ ეს თანამშრომლობა არჩია ნაციონალურ მოძრაობასთან“



„ამერიკამ შეიძლება ივანიშვილის ქონება დააყადაღოს“

გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „ტრამპის მრჩეველმა ალბათ გახარია გააფრთხილა, ისინი საქართველოში რუსულ კვალს ხედავენ“

„ქართული ოცნება“ უნდა მიხვდეს, რომ არჩევნებში დამარცხება არ არის ტრაგედია“

სოსო ცინცაძე: „შეიძლება ვადამდელი არჩევნები აწყობდეს „ქართულ ოცნებას“, რადგან მას ფინანსების დეფიციტი არ აქვს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ოპოზიციას“

გვ.2

ლევან ჩაჩუა: „ქართულმა ოცნებამ“ ყველანაირი რესურსი ამოწურა“

გვ.3

„ოცნებისთვის“ წამგებიანი გახდა ნაცმოძრაობასთან კამათი და მან ყოფილი და ახლანდელი ნაციონალები ერთმანეთს მიუსია“

„პარტიებს ეკონომიკური პროგრამა არ აქვთ, ეს სურვილების კრებულია“

ამირან სალუქვაძე: „ვერ გავიგე, რატომ არ უნდა ჰქონდეს ფიზიკურ პირს მევახშეობის უფლება და რატომ უნდა ჰქონდეს იურიდიულ პირს. აქ საბანკო სექტორის კერძო ინტერესია“

გვ.4

გვ.3

„შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიტიკურად ნეიტრალური უწყებაა“

ISSN 1987-9385

5 ირანის მოქალაქეებს ვალუტის ჯიხურზე თავდასხმისთვის 7 და 8 წლით ციხე მიესაჯათ

5 „7.000 ლარი თაღლითური გზით გადარიცხა“ შსს-მ ოზურგეთში 2 პირი დააკავა

5 თეონა თამაზაშვილი: „თამარს ბოლო ღამეს ჩემ გვერდით ეძინა, ძილში სულ კრთოდა“

6 ნავალნის საბანკო ანგარიშები გაუყინეს და ბინა დაუყადაღეს

„ამერიკამ შეიძლება ივანიშვილის ქონება დააყადაღოს“

ნიკა ჩიტაძე: „ტრამპის მრჩეველმა ალბათ გახარია გააფრთხილა, ისინი საქართველოში რუსულ კვალს ხედავენ“

იაგო ნაცვლიშვილი

აშშ-ის 3 ყოფილი ელჩი საქართველოში: ჯონ ტეფტი, კენეტ იალოვიცი და უილიამ კორტნი გამოცემა The National Interest-ში ერთობლივ სტატიას აქვეყნებენ. ყოფილი დიპლომატები სტატიაში დემოკრატიისა და ბიზნესგარემოს ხარისხის გაუარესების შესახებ წერენ. სტატიაში საუბარია იმაზეც, რომ შესაძლოა საფრთხე შეექმნას საპარლამენტო არჩევნების თავისუფლად, სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარებას. აქვე აღნიშნულია რუსეთის გავლენასა და იმაზე, რომ მას საინფორმაციო პროპაგანდის საშუალებით ამის მცდელობა ექნება.

მართალია ისინი ამერიკის ოფიციალური ხელისუფლების პირები არ არიან, მაგრამ ცნობილია, რომ ამერიკაში პოლიტიკის ფორმირებაზე გავლენას ამერიკელი ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კვლევითი ორგანიზაციები და ყოფილი დიპლომატებიც ახდენენ. თანაც ამ წერილს ემთხვევა ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მრჩეველის, რობერტ ო’ ბრაიენის სატელეფონო საუბარიც.

უნდა აღვიქვათ თუ არა არჩევნებამდე 5 კვირით ადრე ეს ორივე ფაქტი ერთ მთლიანობად და საქართველოს ხელისუფლების გაფრთხილებად, რომ მაქსიმალურად დემოკრატიულად ჩაატარონ არჩევნები? – ამ საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს:

– საქართველოში აკრედიტებული აშშ-ის ყოფილი 3 ელჩი ერთობლივ წერილში შეშფოთებას გამოთქვამენ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის არჩევნებზეც არის საუბარი. ეს პირები არ არიან ამერიკის ხელისუფლებაში, მაგრამ ამერიკაში ყოფილი დიპლომატები და ექსპერტები გავლენას ახდენენ ამერიკული პოლიტიკის ფორმირებაზე. ამიტომ ეს ამერიკის ოფიციალურ პოზიციადაც უნდა განვიხილოთ?

– რა თქმა უნდა, ეს წერილი არის მეტად მნიშვნელოვანი წერილი, სადაც შეშფოთებას გამოხატავს 3 ყოფილი ელჩი საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. კერძოდ იმ თვალსაზრისით, რომ საქართველო უკან იხევს დემოკრატიული მიმართულებით. პრობლემა შეექმნა უცხოურ ინვესტიციებს, პირველ რიგში კი საუბარია ამერიკულ ინვესტიციებზე. საუბარი იყო ანაკლიის პორტზე და ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელთან დაკავშირებით, რომელსაც პრობლემა შეექმნა, საუბარი მაქვს „კავკასუს ონლაინის“ საქმეზე.

ბუნებრივია ამერიკის ელჩებს გააჩნიათ გავლენა ამერიკის პოლიტიკურ ელიტაში. მით უმეტეს, რომ მათ აზრს აუცილებლად გაითვალისწინებენ იმ ფაქტის გამო, რომ ისინი 3-4 წლით იყვნენ მოვლინებული საქართველოში და აგროვებდნენ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური პროცესების შესახებ. ანუ, ისინი გათვითცნობიერებულები არიან, რა ხდებოდა და რა პროცესები მიდიოდა საქართველოში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მათი აზრი იქნება გათვალისწინებული.

ამას გარდა ვიცით, რომ ამერიკის კონგრესმა მიიღო რეზოლუციები, სადაც საქართველოს დახმარების პროგრამა იყო დამტკიცებული, მაგრამ იქ ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თუ არ იქნება წინსვლა მართლმსაჯულების, კანონის უზენაესობის და დემოკრატიზაციის პროცესის მიმართულებით, შესაძლებელია აღნიშნული დახმარების 15% საქართველოს არ მიეწოდოს. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი დოკუმენტია და ხელისუფლებისათვის მისი გათვალისწინება აუცილებელი იქნება.

– თანაც ერთ-ერთი ელჩია ჯონ ტეფტი, რომელიც საქართველოში იყო 2003-08 წლებში და სააკაშვილსაც აკრიტიკებდა დემოკრატიულ პროცესებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში რამდენად გამოვა „ოცნების“ ნარატივი, რაც კონგრესმენებთან იყო, რომ მათზე „ნაციონალები“ ახდენდნენ გავლენას და ა.შ?

– ბუნებრივია, რომ საფუძველს მოკლებული იქნება „ქართული ოცნების“ ამგვარი განცხადებები, რომ ვთქვათ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ იყო შეკრული რომელიმე ელჩი და ა.შ. ელჩი კენეტ იალოვიცი საქართველოში შევარდნაძის მმართველობის დროს მოღვაწეობდა და მას არც ჰქონდა ურთიერთობა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და როდესაც მოხდა „ვარდების რევოლუცია“, იმ პერიოდში საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გახლდათ რიჩარდ მაელსი.

– რაც შეეხება რუსეთის გავლენებზე საუბარს, რომ ამის რისკი და საფრთხე არსებობს და არგუმენტად მოყვანილი ჰყავთ დღევანდელი ელჩის კელი დეგნანის განცხადებები, ეს როგორ უნდა გავიგოთ, საქართველოს გაფრთხილებად პრევენციის მიმართულებით თუ უნდა მივიღოთ იმად, რომ „ოცნებას“ რუსეთის მოკავშირედ განიხილავენ?

– აშშ აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ რუსეთი აწარმოებს ჰიბრიდულ ომს როგორც საქართველოს, ისე დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ. იყენებს პოლიტიკურ-სამართლებრივ-კულტურულ-ეკონომიკურ და სხვა ბერკეტებს, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ. თუ რუსეთმა შეძლო, რომ ჩარეულიყო აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში 2016 წელს, როდესაც რუსეთი, ასევე, ერეოდა გერმანიის საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც ორი წლის წინ გაიმართა, ერეოდა საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში, კატალონიაში გამართულ რეფერენდუმში და ა. შ. აქედან გამომდინარე მას მეტი ბერკეტი გააჩნია, რომ საქართველოში მიმდინარე არჩევნებში ჩაერიოს „მეხუთე კოლონის“ გამოყენების მეშვეობით. ესენი არიან როგორც პოლიტიკური, ასევე არაპოლიტიკური აქტორები. ასე რომ, ამის საფრთხე რეალურია და აშშ ამას აცნობიერებს.

ამას ადგილი ჰქონდა 2018 წელს, მაშინ რუსეთი ჩაერია პირდაპირი გზითაც და არაპირდაპირი გზითაც. პირდაპირ გზაში ვგულისხმობ იმას, რომ მათ წაახალისეს „პატრიოტთა ალიანსი“ მეორე ტურში, რომ მოეწოდებინათ მომხრეებისთვის, რათა მათ მხარი დაეჭირათ სალომე ზურაბიშვილისთვის და არ დაეშვათ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლის გასვლა. ასევე გვახსოვს რუსეთის სახელმწიფო დუმის წარმომადგენლების განცხადებები სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ.

– წერილში ნახსენებია 2018 წლის არჩევნები და ნათქვამია, რომ ის აღარ უნდა განმეორდეს, რა დარღვევებიც მაშინ იყო. საუბარია უცხოელი დამკვირვებლების დაშინებაზე და ა. შ. ესეც ხელისუფლების გაფრთხილებაა?

– რა თქმა უნდა. ამიტომაც ამერიკის 3 ყოფილი ელჩის განცხადება ყურადსაღები და გასათვალისწინებელია. ანუ იმ ადამიანების, რომლებიც თავად იყვნენ ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების განმტკიცებაში და მნიშვნელოვანია მათი როლის გათვალისწინება.

– უნდა დავინახოთ თუ არა კავშირი ამ წერილსა და იმ სატელეფონო საუბარს შორის, რომელიც გაიმართა გიორგი გახარიასა და დონალდ ტრამპის მრჩეველს შორის? როდესაც ვიკითხე, რომ ყოფილი დიპლომატები და ექსპერტები პოლიტიკაზე ფორმირებას ახდენენ, ეს აქედანაც ხომ არ ჩანს?

– კი ბატონო. გახარიასთან საუბრისას ალბათ ხაზი გაესმებოდა იმას, რომ საქართველოში აუცილებელია დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება და რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს დემოკრატიულად და აშშ ყურადღებით აკვირდება საქართველოში მიმდინარე არჩევნებს, რადგანაც ხედავს რუსულ კვალს. თუნდაც ანაკლიასთან დაკავშირებით. იგივე ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებთან დაკავშირებითაც არაერთი განცხადება გაკეთდა, მათ შორის სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა, ასევე ექსპერტებმა, მაგალითად, მეთიუ ბრაიზამ. აქედან ამერიკა ცდილობს, რომ აჩვენოს ჩვენ ხელისუფლებას, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი ბერკეტები, როგორი ზემოქმედება მოახდინოს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე კარგი გაგებით. ვგულისხმობ იმას, რომ ხელი შეეწყოს დემოკრატიულ პროცესებს და თვალს არ დახუჭავენ დარღვევებზე და არ მოერიდებიან ხელისუფლების კრიტიკას. განცხადება, რომ დახმარების 15%-ს საქართველო ვერ მიიღებს თუ დემოკრატია წინ არ წავა, ეს მინიშნებაა, რომ ამერიკა არ იქნება ლოიალური.

– რას მოიმოქმედებს ამის საწინააღმდეგოდ?

– ერთ-ერთი იქნება კრიტიკა.

– კრიტიკა გვესმის ისედაც და ეფექტი ჯერ არ აქვს.

– ასევე იქნება დახმარების შეზღუდვა.

– ეს გაფრთხილებაც გაკეთებულია. კიდევ რა შეიძლება გააკეთონ, რაც ეფექტს მოიტანს?

– შესაძლოა ხელი შეუწყონ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებას დაფინანსების გზით, რათა საქართველოში შეიქმნას ძლიერი სამოქალაქო სექტორი, რომელიც ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური ნაბიჯების დაბალანსებისკენ იქნება მიმართული.

– ივანიშვილის პირადი ქონების დაყადაღება თუ სანქციირების თემაც ხომ არ დგას რისკის ქვეშ?

– დიახ, რა თქმა უნდა, სწორედ აქეთკენ მიმყავდა საუბარი. თუ ზემოთ ჩამოთვლილმა ქმედებებმა არ გაჭრა, მაშინ ყველაზე რადიკალური გზა იქნება ივანიშვილის ანგარიშების გაყინვა და სანქციების ამოქმედება უშუალოდ ივანიშვილის წინააღმდეგ. როგორც ეს მოხდა მოლდოვის შემთხვევაში, როდესაც იქაური ოლიგარქის წინააღმდეგ სანქციები აამოქმედა ამერიკამ. ამიტომ სავსებით რეალურია ეს მექანიზმი საქართველოშიც იყოს გამოყენებული, მით უმეტეს, რომ პრაქტიკაში ასეთი მაგალითი უკვე არსებობს.

„ქართული ოცნება“ უნდა მიხვდეს, რომ არჩევნებში დამარცხება არ არის ტრაგედია“

სოსო ცინცაძე: „შეიძლება ვადამდელი არჩევნები აწყობდეს „ქართულ ოცნებას“, რადგან მას ფინანსების დეფიციტი არ აქვს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ოპოზიციას“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი **სოსო ცინცაძე** ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარ კანდიდატებს როგორ შეაფასებთ? რამდენად იქნებიან მმართველი პარტიის კანდიდატებთან კონკურენტუნარიანები?

– კონკურენტუნარიანები იქნებიან თუ არჩევნები თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარდება, თუ რეალობას გავითვალისწინებთ, მაშინ გეტყვით, რომ საქართველოში რეალური კონკურენცია უცხო ხილია.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეძლო ოპტიმალური რესურსის წარმოდგენა. ეს კანდიდატები შეძლებენ კონკურენციის გაწევას მმართველ ძალასთან. თუმცა, მაინც ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ჩატარდება არჩევნები. როგორ ჩატარდება არჩევნები – ეს უკვე ლამის ყველა ქვეყნის თავის ტკივილად იქცეს. ორი დღის წინ ტრამპმა თქვა: რომც წავაგო არჩევნები, თეთრი სახლიდან არ გავალო. მაგალითად, ჩემს ახალგაზრდობაში რომელიმე პრეზიდენტს ეს რომ ეთქვა, ის მეორე დილით პრეზიდენტი აღარ იქნებოდა. იმპიჩმენტს მოუწყობდნენ. ამიტომ მგონია, ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ ჩაატარებს ხელისუფლება არჩევნებს.

თუმცა, ფაქტი ერთია, ადამიანები გრძნობენ, რომ ისე არ არის, როგორც დაჰპირდნენ. კი ეუბნებიან, უმტკიცებენ, რომ არ შია, მაგრამ გრძნობს, რომ შია. კი ეუბნებიან, სახურავიდან წყალი არ ჩამოსდის, მაგრამ ხედავს, ვედროები აქვს შედგმული. რაც არ უნდა უთხრა ადამიანს, რომ ის კარგად ცხოვრობს, რომ მისი ცხოვრების დონე გაუმჯობესდა, მან იცის, რომ ასე არ არის. რომ ლარის კურსი კი არ გაიქცა, პირიქით, სტაბილურია, მან იცის, რომ ასე არ არის. როდესაც ასეთი სიტუაციაა ქვეყანაში, ადამიანს უჩნდება ლტოლვა, რომ რეალობა შეცვალოს. ეს სურვილი უჩნდება თუნდაც ინსტინქტის დონეზე. ეს იცით როგორ არის, სულ რომ წვიმს და მზის გამოსვლა რომ გინდა. დაახლოებით ასეა. ეს გარემო, ეს რეალობა დიდ უპირატესობას აძლევს ოპოზიციას. თუმცა, ამ უპირატესობას ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსს დაუპირისპირებს და აქ ორი აზრი არ არის.

– თუმცა, რამდენად არის მზად დღეს „ქართული ოცნება“ ძალაუფლება დათმოს?

– „ქართული ოცნება“ უნდა მიხვდეს, უნდა გააცნობიეროს, რომ არჩევნებში დამარცხება არ არის ტრაგედია. რომ არჩევნებში დამარცხების შემდეგაც გრძელდება ცხოვრება. უნდა მიხვდეს, რომ ეს არ არის სისხლისმღვრელ ომში დამარცხება. შეიძლება მომავალი ბედი, ცხოვრება აღელვებთ ამ ადამიანებს, რა ელოდებათ თუნდაც დამარცხების შემდეგ?! მართლაც შეიძლება გაუსწორდნენ, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ პოლიტიკა ვინც შეიარაღებული ბრძოლის ველად აქცია, ისინი პოლიტიკოსები არ არიან. პოლიტიკოსი, რომელიც გაჰყვირის, ყველა ციხეში! ეს პოლიტიკა აღარ არის. დამნაშავე ციხეში – ამას ამბობს პროკურორი და მოსამართლე. ეს პოლიტიკოსის საქმე არ არის.

– თუ ასეთი რეალობა დადგა, ოპოზიცია რამდენად შეძლებს კოალიციურ მთავრობაზე შეთანხმებას?

– ყველა აკრიტიკებს ოპოზიციას, რომ მათ ვერ შეძლეს მოლაპარაკება, ერთობის ჩამოყალიბება, კოალიციის შექმნა და როდესაც ეს საჭირო გახდება, კიდევ უფრო გაუჭირდებათ. მაინტერესებს, სად უნახავთ ევროპაში არჩევნების წინ კოალიცია?! ეს საარჩევნო ბლოკია და არა კოალიცია. კოალიციური მთავრობა არჩევნების შემდეგ დგება. არჩევნების წინ ყველგან პარტიები ერთმანეთს აკრიტიკებენ და ეს სავსებით ლოგიკური და ბუნებრივი პროცესია.

გასაგებია, ჩვენ სამხრეთული ტემპერამენტის ხალხი ვართ და ემოციები გვჭარბობს, ნაკლები ჯენტლმენობაა, მაგრამ ერთმანეთის კრიტიკა არჩევნების წინ არსად არ არის უცხო. ძალიან დიდი გამოცდილება მაქვს არჩევნების დაკვირვების შინ თუ უცხოეთში და ყველგან ასეა. ყველგან აკრიტიკებენ ერთმანეთს.

რაც შეეხება კოალიციის შექმნას რამდენად შეძლებენ? შეძლებენ, როდესაც ამის აუცილებლობა დადგება. შეძლებენ არა იმიტომ, რომ ერთმანეთი უყვართ ძალიან, არამედ იმიტომ, რომ პირველ რიგში არავის არ ექნება ახალი, რიგგარეშე არჩევნების თავი. ყველა რესურსი ამოწურული ექნებათ. ოპოზიცია ბოლო კაპიკს დებს არჩევნებში. შეიძლება ვადამდელი არჩევნები აწყობდეს „ქართულ ოცნებას“, რადგან მას ფინანსების დეფიციტი არ აქვს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ოპოზიციას. ამიტომ, ოპოზიცია იძულებული იქნება, რომ მოილაპარაკონ და მთავრობა ჩამოაყალიბონ. ჩერჩილი 50 წელი ლანძღავდა კომუნისტებს, მსოფლიოში ნომერ პირველი ანტიკომუნისტი იყო, მაგრამ როდესაც პოლიტიკურმა ცხოვრებამ აიძულა, მშვენივრად დაჯდა სტალინის გვერდით. ეს არის პოლიტიკა.

– კონკრეტულ მაჟორიტარულ ოლქებზე რას იტყვით? მაგალითად, მელია, ვაშაძე მოიგებენ?

– ნიკა მელია აუცილებლად მოიგებს. გრიგოლ ვაშაძეც მოიგებს ქუთაისში. კირკიტაძეც კი მოიგებს რუსთავს. „ოცნებამ“ თავისი სათადარიგო სკამი ძალიან ადრე გამოილია. თუმცა, ძალიან მოკლეც იყო.

– ბევრგან ელოდებით მეორე ტურს?

– ოლქების აბსოლუტურ უმრავლესობაში მეორე ტური გარდაუვალია. გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, ყველგან იქნება მეორე ტური.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოქრიაშვილ-ჩოჩელი „ოცნებამ“ დასახმარებლად გადასვა ნაციონალურ მოძრაობაში“

ნონა ცაბაძე

ლადო სადღობელაშვილი: „ბოკერია თამაშობდა ხელისუფლების თამაშს, უფრო ზუსტად, კვირიკაშვილის თამაშს. დღეს კი „ოცნებამ“ ეს თანამშრომლობა არჩია ნაციონალურ მოძრაობასთან“

„ახალი თაობის“ კითხვებს **ლადო სადღობელაშვილი** პასუხობს.

– ლადო, ოპოზიციურ ფლანგზე არსებული სიტუაცია შევაფასოთ. ნაციონალურმა მოძრაობამ გუშინ მაჟორიტარები წარადგინა. მათმა კანდიდატებმა ბევრში ღიმილი და ბევრშიც დიდი კრიტიკა გამოიწვია. ოპოზიციურ ფლანგზე არსებული დაძაბულობის ფონზე, როგორ აფასებთ შექმნილ სიტუაციას? რა უნდა ოპოზიციას, მოგება თუ ოპოზიციაში დარჩენა?

– დღეს სამ ძალად არის დაქსაქსული მთლიანად პოლიტიკური სპექტრი. მე მინდა პარალელები გავავლო დღევანდელ ვითარებასა და ვარდების რევოლუციის ვითარებას შორის. მაშინაც საზოგადოების ძირითად მასას ეგონა, რომ აღორძინება და მოქალაქეთა კავშირი ერთმანეთთან დაპირისპირებული იყო, თუმცა ისინი ერთ თამაშს თამაშობდნენ, მაგრამ რევოლუციურმა მუსტმა გააკეთა ის, რომ აღორძინებაც და მოქალაქეთა კავშირიც ჩაძირა, გააქრო პოლიტიკური სპექტრიდან. დაახლოებით იგივე სცენარს ვხედავ ახლაც. ეს სამი ძალა, რომელიც წარმოდგენილია დღეს...

– რომელ ძალებს გულისხმობთ?

– მე ვგულისხმობ „ქართულ ოცნებას“, ნაციონალურ მოძრაობას და სხვა ოპოზიციას. მე მინდა გავაფრთხილო „ქართული ოცნება“, რომ ცოტა გონს მოეგონ, რადგან არ არის გამორიცხული, აი ის საზოგადოება, რომელიც იმ მესამე ძალასთან არის თავმოყრილი, ასე ვთქვათ დანარჩენ ოპოზიციასთან, ამ ძალამ ის არ ქნას, რომ ნაციონალური მოძრაობაც და „ქართული ოცნებაც“ ერთიანად გადააგდოს. დღეს, „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა და თუნდაც ევროპული საქართველო.

– „ქართული ოცნება“ მიიჩნევს, რომ მას კონკურენტი არ ჰყავს იმ ოპოზიციის სახით, რომელიც წარმოდგენილია პოლიტიკურ ბაზარზე. ასეა?

– რა თქმა უნდა, არ ეყოლება, იმიტომ, რომ მას ნაყიდი ჰყავს მთლიანი ოპოზიციური სპექტრი.

– ოპოზიცია იმდენად არათანმიმდევრულია, რომ ბევრი ფიქრობს, ამ შეცდომებს მიზანმიმართულად უშვებენო. ასეა?

– ნაყიდები არიან და იმიტომ, მაგრამ რომც მოიგოს „ქართულმა ოცნებამ“ მესამე ვადით, ეს პროდუქტიული ვერ იქნება და მალევე დამთავრდებიან. 56 პარტიაა, რომელიც კენჭს იყრის, ასეთი კოლოსალური რაოდენობა საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. ეს მარაზმშია გადასული, თითქოს შეგნებულად არის დანაწევრებული. შეგნებულად შლიან, რომ მერე შექმნან ერთიანი, დიდი რაღაც. მაქსიმალურად უნდა დაშალო, მერე იქიდან ამოარჩიო ის წრე, ვინც გაწყობს და შექმნა ახალი კოალიცია. დღეს ასევე არის ის ეტაპი, როდესაც დიდი საფრთხის ქვეშ დგას სახელმწიფოებრიობა. დღეს ვართ იმ საფრთხის წინაშე, რომ შესაძლოა პირსისხლიანი რეჟიმი მოტრიალდეს ხელისუფლებაში.

– ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დღეს ნაციმოძრაობა ზუსტად იგივეს აკეთებს, რაც 2012-ში ბიძინამ გააკეთა. შუას კრეფენ, ან ჩვენ, ან ბიძინაო. ეს რამდენად სწორი მიდგომაა და ამით ბიძინას წისქვილზე ხომ არ ასხამენ წყალს?

– სააკაშვილს უნდა, რომ იყოს ერთადერთი და არა უკეთესი. თუმცა ბიძინა ივანიშვილისგან იმით განსხვავდება, რომ მას იმდენი საშინელი შეცდომა ჰქონდა ჩადენილი, რასაც „ქართულ ოცნებას“ ვერ დავაბრალებთ. იმდენი პრეტენზია საზოგადოებას ამ ხელისუფლების მიმართ არა აქვს, რაც სააკაშვილის რეჟიმის დროს ჰქონდა. ამიტომ ეს შუას გაკრეფა ვერანაირად ვერ გამოუვა. ვერც ბიძინა ივანიშვილს ვერ გამოუვიდა და, მით უმეტეს, ვერ გამოუვა მიშას. პირიქით, ბიძინას ნება ასეთი იყო ამ არჩევნებზე პარტიების მიმართ, რაც შეიძლება გამრავლდით და მომრავლდითო.

– რას ფიქრობთ ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარებზე. ითქვა, რომ ნაციმოძრაობამ ბოლო მომენტში ორი მაჟორიტარი შეცვალა, ზუგდიდში გიული ალასანიას ნაცვლად დასახელდა სხვა, ხოლო წყალტუბო-სამტრედია-ვანის მაჟორიტარად ნანუკა ჟორჟოლიანი დაასახელეს. რატომ?

– რაც შეეხება ნანუკა ჟორჟოლიანს, ეს წმინდა სააკაშვილის ხაზია. ვფიქრობ, რომ სააკაშვილი ძლიერდება ნაციონალურ მოძრაობაში. მე ასე ვფიქრობ.

– მაშინ დედამისის კანდიდატურა რატომ შეცვალა?

– მე რა ინფორმაციაც მაქვს, სწორედ დედამისთან მიმართებაში შეიქმნა პრობლემა. გიული ალასანიას არ ჰქონდა სურვილი და, პირიქით, მიშა აიძულებდა მას, რომ ზუგდიდის მაჟორიტარი კანდიდატი ყოფილიყო. თუ ხართ დაკვირვებული, ზოგადად ზუგდიდში სააკაშვილის კადრები იყრიან ხოლმე კენჭს.

– სულ საუბრობენ, რომ ყველაზე დიდი მხარდაჭერა მიშას აქვს სამეგრელოში. რატომ?

– უფრო ახალაიებიდან გამომდინარე. ასევე კოდუებიდან გამომდინარე. თუმცა მე მაქვს ინფორმაცია, რომ ამ არჩევნებში, „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად მოიგებს სამეგრელოს. „ქართულ ოცნებას“ გაცილებით სერიოზული პრობლემები ექნება აჭარასა და კახეთში. გახარიას ფაქტორიდან გამომდინარე, წელს სამეგრელო „ოცნების“ იქნება! თუმცა დავამატებ იმასაც, რომ არცთუ ცუდი მაჟორიტარები ჰყავს ნაციონალურ მოძრაობას.

– ოქრიაშვილის და ჩოჩელის სახითაც სერიოზული არტილერია შეემატათო.

– კი, ასეა. სერიოზული ფულის პატრონები არიან. თუმცა ერთი ნუ დაგვავიწყდება. ეს ბიზნესმენები ვერ გაიხარებდნენ ამდენი ხანი, „ქართული ოცნების“ მამებს რომ არ ნდომებოდათ.

– ანუ მათი თანხმობით წავიდნენ ნაციონალურ მოძრაობაში?

– რა თქმა უნდა! მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ყველაფერი ხდება შეთანხმებით. ასე ხდება ხოლმე. როდესაც შეთანხმებას აქვს ადგილი, სამთავრობო პარტია ყოველთვის უგზავნის ბიზნესმენებს ამა თუ იმ პარტიას და მას აძლიერებს ფინანსურად. ჩოჩელიც და ოქრიაშვილიც რეალურად ფულის ტომრები არიან. ეს ორი ფულის ტომარა, „ქართულმა ოცნებამ“ დასახმარებლად გადასვა ნაციონალურ მოძრაობაში. ოქრიაშვილი, რომელიც ჩვეულებრივი ბარიგაა და გამდიდრდა ხალხის უბედურებით. ასეთი ადამიანები სხვა პარტიაში კი არ უნდა ისროლო, წესით, უნდა დაფერთხო გემრიელად და კორუფციით ნაშოვნი ფულები ჩააყრევინო ბიუჯეტში. თუმცა „ოცნება“ შეკრულ თამაშს თამაშობს ნაცებთან და ცდილობენ მართლა შუა გაკრიფონ. თუმცა ეს არ გამოვა.

– „ევროპული საქართველო“ ასე მწარედ რატომ უპირისპირდება ნაციონალურ მოძრაობას? მიხვდნენ, რომ ბიძინას თამაშს თამაშობენ?

– ადრე იყო პირიქით, ბოკერია თამაშობდა ხელისუფლების თამაშს, უფრო ზუსტად, კვირიკაშვილის თამაშს, მის სქემაში იჯდა. ახლა მათ დაინახეს, რომ კვირიკაშვილი აღარ არის, ხაზარაძე ოპოზიციაშია. მაშინ თანამშრომლობდნენ, დღეს კი „ოცნებამ“ ეს თანამშრომლობა არჩია ნაციონალურ მოძრაობასთან.

– ალბათ იმიტომ, რომ მიშასგან უკეთესი „ბუა“ გამოდის?

– აი, ზუსტად რომ ეგ არის. მიშასგან უკეთესი ბუა გამოდის და მათაც აძლევს იმის საშუალებას რომ შეინარჩუნონ ხელისუფლება.

– ანუ ბიძინამ გადააგდო ბოკერიას ფრთა?

– კი, გადააგდო. ასე გამოდის. ერთს ვიტყვი, ახლა რომც მოვიდეს „ოცნება“ მესამე ვადით, არ არსებობს, დიდხანს ვერ შეინარჩუნებენ ხელისუფლებას. სიტუაცია გაზაფხულზე მაინც აბობოქრდება, რადგან დიქტატორული წყობისკენ მივდივართ. ერთი და იგივე პარტია ხელისუფლებას ინარჩუნებს მესამე ვადით. შეიძლება გაიმარჯვონ, მაგრამ ეს დიდხანს არ გასტანს.

– საუბარია იმაზეც, რომ ხელისუფლებას ხელს აძლევს კოვიდ სიტუაცია. დაავადებულთა რიცხვი საკმაოდ მაღალია. ითქვა ისიც, რომ მიზანმიმართულად ხდება პანდემიის გაპოლიტიზირება და უმიზნებენ იმას, რომ უცხოელმა დამკვირვებელმა თავი შეიკავოს საარჩევნოდ აქ ჩამოსვლისგანო. შესაძლოა ასე იყოს?

– ეს ვარაუდი 100%-ით ასეა. ეს გამყარებულია იმ ფაქტებით, რაც სახეზეა. მთელ მსოფლიოში რომ დაწყნარდა ვითარება, მაინცდამაინც ახლაა ჩვენთან ასე გართულებული?! ეს ლოგიკაში არანაირად არ ჯდება. საფუძვლიანი ეჭვი არსებობს იმისა, რომ ხელისუფლება შეგნებულად ძაბავს სიტუაციას. ჩაატარებენ შიდა კვლევას, თუ დადგინდა, რომ ცდებიან 40%-იან ბარიერს, მაშინ ჩაატარებენ არჩევნებს, თუ არადა, გადადებენ რამდენიმე თვით. რატომღაც მგონია, რომ არჩევნებს გადადებენ რამდენიმე თვით. დღეს ხელისუფლებას აწყობს არჩევნების გადადება. თუ ასე გააგრძელა „ოცნებამ“, ალბათ რევოლუციური სცენარის განვითარებას უნდა ველოდოთ.

ლევან ჩაჩუა: „ქართულმა ოცნებამ“ ყველანაირი რესურსი ამოწურა“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში წინასაარჩევნოდ შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ **ლევან ჩაჩუას.**

– ცოტა ხნის წინ ქვეყანაში ერთმანეთის მთავარი პოლიტიკური სპარინგ-პარტნიორები იყვნენ „ქართული ოცნება“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ამ დღეებში და მანამდეც ნაციონალური მოძრაობა უმთავრესად „ევროპულ საქართველოს“ ეჯახება. თქვენი აზრით, რა ხდება?

– ერთმანეთში კინკლაობენ ნაციონალები. საიდუმლო არ არის, რომ რამდენიმე ხნის წინ ბიძინა ივანიშვილმა დაშალა ნაციონალური მოძრაობა და იქიდან გამოყო „ევროპული საქართველო“. მანვე უზრუნველყო „ევროქოცების“, იგივე „ევრონაცების“ დაფინანსება. ახლა დასჭირდათ და მოაწყვეს კლოუნადა.

– თუ მათ შორის განხეთქილებაა, მაშინ კლოუნადა კი არა, გულწრფელი კონფლიქტი და კონკურენცია ყოფილა.

– ნაციონალურ მოძრაობასა და „ევროპულ საქართველოს“ შორის არანაირი იდეოლოგიური განსხვავება და დაპირისპირება არ არის. არც ერთი მათგანი არ ებრძვის სისტემას. ეს სისტემის შიგნით კინკლაობაა. კინკლაობა კლოუნადად იქცა ხელოვნურობის გამო. „ოცნებისთვის“ წამგებიანი გახდა ნაციმოძრაობასთან კამათი და მან ყოფილი და ახლანდელი ნაციონალები ერთმანეთს მიუსია.

– ნაციმოძრაობასთან კამათი წამგებიანი რატომ გახდა? ხალხს მობეზრდა სისხლიანი 9 წლის გახსენება?

– რასაკვირველია. ხომ არ შეიძლება 2011 წლის შემდეგ მუდმივად ერთი და იგივე იმეორო, შენ კი ხალხისთვის არაფერი გააკეთო! „ოცნება“ ხომ სამართლიანობის აღდგენას ჰპირდებოდა.

– მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ პირები, რომლებსაც დადასტურებული აქვთ დანაშაული, პოლიტიკაში არ უნდა რჩებოდნენ. იგი იმედოვნებს, რომ ეს სტანდარტები საქართველოში დამკვიდრდება.

– მე, როგორც სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტპატიმარს, ამაზე ძალიან მეცინება. თუ დამნაშავეები პოლიტიკაში არიან, ეს არ არის ამ ხელისუფლების ბრალი?! ვის აძლევს ირაკლი კობახიძე შენიშვნას? „ოცნებას“ ამ საკითხის მოგვარება უნდა დაეწყო 2012 წლიდან, როცა ის

ხელისუფლებაში მოვიდა. ვინ გამოუშვა ციხიდან უგულავა და ოქრუაშვილი? მერაბიშვილიც ვადაზე ადრე გამოვიდა. ზოგიერთი დანაშაული არც გამოუძიებიათ, რომ დამნაშავისთვის ბრალი წარედგინათ. არ ვიცი, ვის უყრის ამ საკენკს კობახიძე. მმართველ პარტიას მომხრეები არ დარჩა. ღირსეული კაცი „ოცნებას“ არ გაეკარება არც მომხრედ და არც კანდიდატად.

– პარტიამ ახალი სახეების მოზიდვაც შეძლო.

– ახალი სახეები საარჩევნო სიის ოცეულის წარდგენაზე ვნახეთ. მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ყველანაირი რესურსი ამოწურა. ივანიშვილის პარტია ყველანაირად ყავლგასული და დისკრედიტირებულია. ამ პარტიის ახალი სახეები პატივისცემას არ იმსახურებენ. შეიძლება, ვინმე სადმე წარმატებული იყო, მაგრამ ისინი ახლა დისკრედიტირებულ პარტიაში არ უნდა მოსულიყვნენ.

– ნაციონალური მოძრაობა ამ მხრივ უფრო წარმატებულია? მაჟორიტარების კანდიდატებად პოპულარულ პიროვნებებს ასახელებს. მაგალითად, წყალტუბო-სამტრედიის ოლქში ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი დასახელდა.

– ნაციონალურ მოძრაობას უფრო სწორი ალღო და გათვლა აქვს. ნაციონალები პრაგმატულად მოქმედებენ. ცნობადი სახეები მათ მოუტანენ ხმებს საერთო ყულაბაში. ნანუკა ჟორჟოლიანის მაყურებელი და თანამოაზრე არ ვარ, მაგრამ ნაციონალები უკეთეს სახეებს სთავაზობენ ამომრჩეველს. „ოცნებამ“ მაჟორიტარობის კანდიდატად წამოაყენა დარგალი – კაცი, რომელმაც რესტავრაცია გაუკეთა ნარიმანოვის ძეგლს და ის მარმარილოში ჩასვა. ეს ის ნარიმანოვია, რომელმაც ფილიპე მახარაძესთან ერთად ხელი მოაწერა ზაქათალის გადაცემას აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის.

– რას ელით არჩევნების შემდეგ?

– ვიტყვი, რა არის დაგეგმილი. დაგეგმილია, რომ მომავალ პარლამენტში შევიდნენ სხვადასხვა პარტიაში გაფანტული ნაციონალები და მათი ლიბერალი თანამოაზრეები. მაგალითად, ყოფილი ნაციონალი და „გირჩის“ ლიდერი ჯაფარიძე, ასევე რესპუბლიკელები და სხვები. მათი იდეური ძმები „ქართულ ოცნებაშიც“ არიან. კობახიძე, თალაკვაძე და მდინარაძე ამ კლასტერის ჯგუფია. ახალი სახეები ასეთების დავალებებს შეასრულებენ. ეს ხალხი გააგრძელებს ოდიოზური კანონების მიღებას.

– რომელი ოდიოზური კანონების მიღებას?

– თუნდაც, „სამოქალაქო პარტნიორების შესახებ“ კანონი ავიღოთ. კონსტიტუციაში წერია, რომ ქორწინება არის კავშირი ქალსა და კაცს შორის. ამას ყურადღებას არ მიაქცევენ და იტყვიან, რომ საქართველოში უნდა დაკანონდეს სამოქალაქო პარტნიორობა. ესე იგი, კაცი კაცთან ვერ იქორწინებს, მაგრამ ისინი ერთად იქნებიან სამოქალაქო პარტნიორობით. „ოცნებამ“ თავისი წინა კანონებით, ანტიდისკრიმინაციული კანონით ამას ხელი შეუწყო. ამის მომხრე იყო მთელი ხელისუფლება. ირაკლი ღარიბაშვილის ადრინდელი განცხადებები ამაზე ვირეშმაკობაა. მოსახლეობამ არ უნდა დაუშვას ასეთი პარლამენტი. ის არჩევნებზე უნდა მოვიდეს. ხალხს ყოველდღე ვხვდები და ვიცი, რომ ბევრი არჩევნებზე მისვლას არ აპირებს.

– რატომ?

– პოლიტიკური ნიჰილიზმის გამო. ადამიანებს იმედი არა აქვთ, რომ პარლამენტში დაინახავენ ჯანსაღ, არამართულ ძალებს. მათ მობეზრდათ პოლიტიკური აფიორები. ძველი სახეები დისკრედიტირებულები არიან, ახლები ნდობას არ იწვევენ. სიტყვა „პატრიოტული“ გაცვდა და გაისვარა მას შემდეგ, რაც ფსევდოპატრიოტები გააქტიურდნენ. ამავე დროს ადამიანებს ეროვნული და ქრისტიანული იდეოლოგიის მატარებელი დამოუკიდებელი პიროვნებების მოსვლა და ქართული ინტერესების გატარება უნდათ. ამიტომ მოვუწოდებ ყველას, ნუ გადაიწყვეტს იმედს! ნუ შეეშინდება კოვიდ-19-ის! გააკეთოს არჩევანი ან ყველა გადახაზოს. ჩვენი, „ქართული იდეის“ დევიზია „ქართული ინტერესები – ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობისათვის“. ვინც გვეთანხმება, „ქართული იდეის“ მხარდაჭერისკენ მოვუწოდებ.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიტიკურად ნეიტრალური უწყებაა“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„გვსურს, გამოვეხმაუროთ სახალხო დამცველის, ნინო ლომჯარიას 24 სექტემბრის განცხადებას იმის თაობაზე, რომ თითქოს წინა წლების პრაქტიკით წინასაარჩევნო პერიოდში ჩადენილი ძალადობრივი ქმედებებისთვის პრაქტიკულად არავის უგია პასუხი.

არჩევნების პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანაა ქვეყნის მასშტაბით მართლწესრიგის დაცვა და არჩევნების თავისუფალ, დემოკრატიულ და უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფა.

შს სამინისტრო ბოლო წლების მანძილზე უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება აღნიშნულ ამოცანას და მყისიერ სამართლებრივ რეაგირებას ახდენს კომპეტენციას მიკუთვნებულ თითოეულ ინციდენტზე.

სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან, რათა ყველა შესაძლო ინციდენტი, როგორც უბანზე, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე, დროულად ყოფილიყო აღკვეთილი.

გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, დგებოდა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა. ბრალდებულთა შორის იყვნენ როგორც ოპოზიციური, ასევე მმართველი პარტიის წარმომადგენლები და მხარდამჭერები.

მაგალითისთვის, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე, პირველი და მეორე ტურების განმავლობაში და შემდგომ პერიოდში, გამოძიება დაიწყო 70-ზე

გაგრძელება მე-4 გვერდზე

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„პარტიებს ეკონომიკური პროგრამა არ აქვთ, ეს სურვილების კრებულია“

ამირან სალუქვაძე: „ვერ გავიგე, რატომ არ უნდა ჰქონდეს ფიზიკურ პირს მევახშეობის უფლება და რატომ უნდა ჰქონდეს იურიდიულ პირს. აქ საბანკო სექტორის კერძო ინტერესია“

გულიკო ბალაძე

როგორი საარჩევნო გარემოა არჩევნებამდე 36 დღით ადრე? როგორ წარმოაჩენენ პარტიები თავს და რას სთავაზობენ ამომრჩეველს? „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში **ამირან სალუქვაძე** პასუხობს.

– ბატონო ამირან, როგორი საარჩევნო გარემოა? მოგეხსენებათ არჩევნებამდე 36 დღე დარჩა.

– ამ ეტაპზე გაცილებით მშვიდი საარჩევნო კამპანიაა, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნების წინ იყო. ყველას გვახსოვს, როგორი აგრესია იყო მხარეებს შორის. ჯერჯერობით, სიმძაფრეს ვერ ვხედავთ. თუმცა, თვეზე მეტი დარჩა და არ არის გამორიცხული, კიდევ დაიძაბოს ვითარება. იმედია, მშვიდი ვითარება შენარჩუნდება. მხარეები დისკუსიებსა და პროგრამების განხილვებს დაუთმობენ დროს, ვიდრე შავ პიარკამპანიას და სიძულვილს, როგორც ამას ადრე, იგივე, 2018 წელსაც ვხედავდით.

– მშვიდ საარჩევნო კამპანიას რამ შეუწყო ხელი?

– შეიძლება ამას ხელი შეუწყო პარტიების მიერ დიპლომატების შუამავლობით გაფორმებულმა მემორანდუმმა. თუმცა, სხვადასხვა ფორმით ერთმანეთზე თავდასხმები არის მედიის გამოყენებით, სხვადასხვა გადაცემების სახით, მაგრამ გაცილებით ნაკლები სიმძაფრისაა, ვიდრე ადრე იყო. მშვიდი საარჩევნო ვითარება ამომრჩევლისთვისაც გაცილებით მნიშვნელოვანია.

– პარტიების პოლიტიკური კულტურა გაზარდა თუ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, უცხო ქვეყნების დიპლომატების ჩარევაა მშვიდი საარჩევნო ვითარების განმაპირობებელი?

– გააჩნია, კულტურის დონის ამაღლებაში რას გულისხმობთ. თუ საარჩევნო კამპანიის ჩატარებასა და დებატებს გულისხმობთ, არა მგონია ამ კუთხით რაიმე სერიოზული ცვლილება იყოს. ალბათ, სხვა ფაქტორებიც იყო. ზაფხულის განმავლობაში პანდემიის პარალელურად მიმდინარეობდა საარჩევნო კამპანია. გარკვეული პაუზაც კი იყო ივლისსა და აგვისტოში. შემდეგ პერიოდშიც საარჩევნო კამპანია მძაფრად არ გაგრძელებულა.

ზაფხულის შესვენების შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და მემორანდუმით დასრულდა. იმედია, ასე გაგრძელდება, რადგან ჩვენთვის მომგებიანია საგნობრივი საუბრების მოსმენა, ვიდრე მათი ერთმანეთთან კინკლაობა. თუმცა, საგნობრივი საუბრები ნაკლებია. წინასაარჩევნო პროგრამებზე არ მსჯელობენ.

– ისე, ქართველი ამომრჩეველი მიჩვეული არ არის პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებით შეჯიბრებას. ამ ეტაპზე ვერ გადავედით.

– ეს ჩვენი ტრადიციული ავადმყოფობაა. ოფიციალურად 60 პარტიაა დარეგისტრირებული. მათი უმეტესობა არ ჩანს. ეს, ალბათ, მცირე რესურსების ბრალიც არის. მედიაც მიჩვეულია მსხვილ პარტიებთან ურთიერთობებს, ამიტომ სხვა პარტიები ნაკლებად ჩანს. ასევე პარტიების ძალიან დიდი ნაწილი ერთკაციანია და არც საზოგადოებისა და მედიის ყურადღებას იქცევს.

– მსხვილ პარტიებს ხომ უნდა ჰქონდეთ პროგრამები?

– კი, მაგრამ შედარებით მსხვილმა პარტიებმაც, ჯერჯერობით, ბროშურების დონეზე წარმოადგინეს მათი გეგმები. აქამდე რაც ვიხილეთ, ძალიან ცუდი სურათი გვაქვს. რამდენიმე პარტია, მაგალითად, ევროპული საქართველო ტრადიციულად მიჰყვება პროცესს, როგორც 2018 წელს. რაიმე სერიოზული პროგრამით თავი არ შეუწუხებია.

გვახსოვს, მაშინ მოსახლეობასთან რაღაც ხელშეკრულებებს აფორმებდნენ. ახლაც იგივე გზას მიმართეს. ამას პლუს საკმაოდ მოკლე ბუკლეტების მოცულობის პროგრამა წარმოადგინეს დაპირებებით, რომელიც არანაირი გათვლებით არ არის გამაგრებული.

– ევრონაცები ხალხს სიტუაციის სერიოზულ გარდატეხას ჰპირდებიან.

– ხალხს ყველა რაღაცას ჰპირდება. იგივე „სტრატეგია აღმაშენებლის“ პროგრამის, სტრატეგიის გააქტიურებამ ერთი მხრივ საზოგადოების გარკვეული ნაწილის ყურადღება მიიქცია, მაგრამ, ალბათ, ძალიან ადრე დაიწყო პროგრამის გააქტიურება. უმეტესობამ ნახა, რომ ესეც ძალიან ზედაპირული პროგრამა იყო. მე პირადად დაწერილი სტრატეგია (ასე დავარქვათ, რადგან თავად ავტორი ასე ეძახის) ვერ ვიხილე.

– დაანონსების შემდეგ, ხალხი ახალ, სერიოზულ ძალას ელოდებოდა. პრეზენტაციაზე გიორგი ვაშაძე რომ დაინახეს, ხელი ჩაიქნიეს.

– ისედაც გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ მისი ინიციატივა იყო, რადგან თვითონ დადიოდა. თუმცა, ადრე წარმოადგენდა „ძალა ერთობაშია“. საარჩევნო კამპანიის დროს, ბოლო ეტაპზე მოხდა გამოყოფა. ჩემთვის საინტერესო ის იყო, ვაშაძის სტრატეგიას სხვა თუ იზიარებდა. როგორც ჩანს, „ძალა ერთობაშია“ და ნაცმოძრაობა ამ პროგრამის უკან არ იდგა. მე ეს სტრატეგია დაწერილ ფორმაში ვერ ვიპოვე.

საიტზე ვიდეორგოლების სახით არის ამ სტრატეგიის თემატური დაყოფა, ეკონომიკა, განათლება და ა.შ., დააჭერ ღილაკს და გადადიხარ გიორგი ვაშაძის იმ ლექციებზე, რომელსაც ის ონლაინ რეჟიმში ატარებდა ხალხთან მთელი ამ ხნის განმავლობაში. თუმცა, ეს არ არის სერიოზული. სადაც არ არის ციფრები და დასაბუთება, განსაკუთრებით, იმ დაპირებების ეკონომიკური დასაბუთება, რასაც ნებისმიერი პარტია გვთავაზობს, ის, უბრალოდ, სურვილების კრებულია.

– ნაცმოძრაობაზე რას იტყვით?

– ნაცმოძრაობაც იგივენაირად პოზიციონირებს არჩევნების დროს, ბუკლეტის სახის პროგრამას გვთავაზობს. ბოლო თვეების განმავლობაში თვალში საცემი იყო „ლელოს“ პროგრამა ხმაურიანი და ამბიციური დასახელებით (როგორც „სტრატეგია აღმაშენებელია“, რომელიც თავიდან ყურადღებას იქცევს, შემდეგ ამომრჩეველი მასში სერიოზულ პროგრამას რომ ვერ ხედავს. ასეთი პროგრამები გულაცრუებას უფრო იწვევს, ვიდრე, საერთოდ, პროგრამების მიმართ) „მარშალის გეგმა“.

ჩემთვის გაუგებარია, რატომ დაარქვეს „მარშალის გეგმა“. მარშალის გეგმა ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, თადარიგის გენერლის, ჯორჯ მარშალის ინიციატივას წარმოადგენდა, რომელი 1947 წელს წარმოადგინა ევროპის დახმარებასთან დაკავშირებით. მაშინდელი მასშტაბით, ამერიკამ ევროპას საკმაოდ სერიოზული დახმარება გამოუყო, 13 მილიარდ დოლარამდე ოდენობით, რომელიც ახლა 130 მილიარდს უდრის, შესაძლოა მეტსაც.

ეს იყო ამერიკის დახმარება ევროპისადმი. შემდეგ იყო „მარშალის გეგმა“ აფრიკისადმი. შემდეგ კი უკრაინისადმი. ბოლოს ბელარუსის მოვლენებს მოჰყვა პოლონეთის მხრიდან „მარშალის გეგმის“ გახმოვანება, ანუ ეს არის გეგმა, როდესაც გარე ძალები, უცხო ქვეყნები რომელიმე ქვეყანას, ან მთლიანად რეგიონს ეხმარებიან.

– ჩვენს სიტუაციაზე მისადაგება არ შეიძლება?

– ჩვენთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთი მხრივ შეიძლება მიესადაგებოდეს, თუ საუბარია კარდინალურ განვითარებაზე. სხვა მხრივ, ეს სახელწოდება უადგილოა. გაცილებით უკეთესი იყო, სხვა სახელი მოეძებნათ და არ დაესესხებინათ. აქ ხომ არ არის საუბარი გარე დახმარებებზე, რომ ვთქვათ, ევროპა ან ამერიკა საქართველოში მარშალის გეგმას განახორციელებს. აქ საუბარია საკუთარი რესურსების გამოყენებით ქვეყნის განვითარების გეგმაზე.

– როგორი გეგმაა?

– მთლიანად გავეცანი ამ გეგმას, აქაც ვერ ვხედავ რაიმე სერიოზულ დასაბუთებებს. თუ მათ ოფისში აქვთ ამ გეგმის სამეცნიერო-ეკონომიკური გათვლები, არ ვიცი. საიტზე არ არის. მე გადმოვწერე პდფ ფაილი, სადაც არის გეგმა, რომლის დიდი ნაწილი უჭირავს გრაფიკულ გაფორმებებს, ნახატებს, რომლის გარეშეც ტექსტი 10 გვერდი იქნება, სადაც წერია სურვილები, ეკონომიკა უნდა იყოს ასეთი, განათლება ისეთი.

ასევე, როცა ვხედავ დამრგვალებულ ციფრებს, 1000, 2000, 5000, მილიონი, მის უკან ყოველთვის დაუსაბუთებელ მიდგომას ვხედავ. არ შეიძლება პენსიის მომატებაზე თქვა, 50, 400, 1000-სს მოვუმატებო. რომ გათვლი, შეიძლება 35 ლარი გამოგვიდეს, ან 135 ლარი, ან კიდევ 138 ლარი. ბიუჯეტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე ითვლება. შეიძლება ბიუჯეტს 400-ის კი არა, 411 ლარის მომატების საშუალება ჰქონდეს. ციფრების დამრგვალებები მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ემსახურებოდეს.

გვპირდებიან, რომ 400 ათასი ადამიანი 3000 ლარზე მეტ ხელფასს აიღებს. ჯერ ერთი, რაზე დაყრდნობით? რომელი კონტიგენტია, ვინ შედის ამ 3 ათასში? საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები არიან თუ ვინ არიან. რაზე დაყრდნობით ჰპირდები, რომ 3 ათას ლარზე მეტს მიიღებს.

რას გვეუბნება ეს ციფრი ჩვენ? საქართველოში 3 მილიონ 700 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ამას უხეშად გამოვაკლოთ მილიონი, ბავშვები და მოხუცები, რომლებიც არ მუშაობენ, დანარჩენმა მოსახლეობამ რა ქნას? 2 მილიონ 700 ათასი ადამიანიდან 400 ათასი მიიღებს 3 ათასზე მეტს, დანარჩენი ისევ დარჩება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ?

– ანუ მათი პროგრამა გაუთვლელი და ზედაპირულია?

– დიახ, ეს არის პრობლემა. შემდეგ საუბარია 200 ათასი ადგილის შექმნაზე. ამით რას ვეუბნებით მოსახლეობას ქვეყნის შიგნით, ან რას ვეუბნებით ემიგრანტებს? მილიონზე მეტი ემიგრანტი გვყავს, ე.ი. წელიწადში 50 ათას სამუშაო ადგილს გვპირდება. ყოველწლიურად, დაახლოებით 40-50 ათასი ადამიანია, რომელიც შრომით ბაზარს ყოველწლიურად უერთდება. ამავე დროს გვყავს სხვა უმუშევრები, ემიგრანტები. რამდენ ხანში შევძლებთ ამ ხმაურიანი მარშალის გეგმით უმუშევრობის აღმოფხვრას საქართველოში? 20 წელში, 30 წელში თუ 40 წელში. მათი ციფრებით გამოდის, რომ მინიმუმ 20 წელი დასჭირდება.

– დასაქმების საკითხში რომელიმე პარტიის გეგმა თუ არის რეალისტური?

– ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ოპოზიციაში ყველაზე მსხვილია „სტრატეგია აღმაშენებლის“ პროგრამა ყველაზე ხმაურიანი დასახელებით და „ლელო“. „ოცნებას“ ჯერჯერობით პროგრამა არ წარმოუდგენია, ალბათ წარმოადგენს, მაგრამ ვიცი, ბოლო 8 თვის განმავლობაში ხელისუფლება რას აკეთებს. რა გეგმით წარდგება ის ყოველწლიურად მოსახლეობის წინაშე. დაახლოებით პროგნოზირებადია 2020-21 წლების ბიუჯეტი. გვეცოდინება პარამეტრები, საითკენ მიდიან.

მაგალითად, ვიცით, რომ განათლებაზე ბიუჯეტის 25% იხარჯება. საკმაოდ დიდი თანხაა. „ოცნება“ განათლების ბიუჯეტის გაზრდისკენ მიდის. ვიცით, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე საკმაოდ დიდი თანხაა გამოყოფილი. სოციალური მიმართულებით დიდი თანხები იხარჯება და მისი ოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. ვიცით მათი მიდგომები საყოველთაო ჯანდაცვის, თავდაცვის მიმართულებით. ამას პროგრამის გარეშეც ვხედავთ.

ოპოზიციის მხრიდან ამომრჩეველს სჭირდება პროგრამები. ჩვენ, ვინც საარჩევნო პროგრამებს ვაფასებთ, გვაინტერესებს, ოპოზიცია განსხვავებულს რას ჰპირდება, რატომ უნდა მივცე სხვა პარტიას ხმა. ამიტომ ვეძებ უკეთესს, ამ უკეთესს ვერ ვხედავ.

იქ საუბარია საფონდო ბირჟებზე. პროგრამა უფრო ბანკირებზეა დაწერილი. არა მგონია, მოსახლეობისთვის გასაგები იყოს. ხელშესახებ ციფრებს ისინი ვერ გვეუბნებიან, რასაც გვეუბნებიან, მის უკან არ არის დასაბუთება, მით უმეტეს, იმის დასაბუთება, რატომ არის ეს პროგრამა რევოლუციური.

– „ლელოს“ ლიდერი ხაზარაძე კერძო მევახშეობის აკრძალვის ინიციატივით გამოდის.

– ამ ინიციატივამ სოციალურ ქსელში ღიმილი, უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია. მეც ვერ გავიგე, რატომ არ უნდა ჰქონდეს ფიზიკურ პირს მევახშეობის უფლება და რატომ უნდა ჰქონდეს იურიდიულ პირს. აქ საბანკო სექტორის კერძო ინტერესია, რომ მხოლოდ მათ ჰქონდეთ ფულის გასესხებისა და ფულის შოვნის უფლება. კერძო მევახშეობა დასარეგულირებელი არ არის. დასარეგულირებელია იურიდიული ბაზა, რომ ადამიანები სახლ-კარის გარეშე არ დარჩნენ. ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, სახლ-კარის გარეშე მოქალაქეს კერძო პირი დატოვებს თუ ბანკი.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიტიკურად ნეიტრალური უწყებაა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მეტ სისხლის სამართლის საქმეზე, საიდანაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა 27 პირს.

სამინისტროს ქმედებების შესახებ ინფორმაცია რეგულარულად ვრცელდებოდა როგორც საჯაროდ, ისე საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან უშუალო კომუნიკაციის გზით.

არჩევნების დროს ძალადობის კლებასა და პოლიციის ეფექტიანი მუშაობის შესახებ მკაფიო ჩანაწერები გვხვდება ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებშიც.

ამასთან, გვსურს საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული/დაგეგმილი ღონისძიების შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 26 აგვისტოს №129 ბრძანების საფუძველზე ცვლილება შევიდა „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში და განახლებული რედაქციით დამტკიცდა საარჩევნო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომელიც წარმოადგენს ნორმატიული ხასიათის დოკუმენტს და სავალდებულოა შესასრულებლად სამინისტროს სისტემის ყველა მოსამსახურისათვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია სრულ შესაბამისობაშია საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობასთან და აწესრიგებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

– აკრძალვები წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას;
– საარჩევნო პერიოდში დადგენილი შეზღუდვები;
– სამინისტროს მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები;
– სამინისტროს მიერ პოლიტიკური ნეიტრალობის უზრუნველყოფა;
– სამინისტროს მიერ კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა და ცალკეული პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის.

„სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისთვის“ უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვის შინაარსი, რაც გულისხმობს წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პირისათვის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტების მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში სამინისტროს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვას, მათ შორის, აიკრძალა სამინისტროს კუთვნილი ადმინისტრაციული შენობების, საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.

მოქმედ ინსტრუქციას დაემატა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, აიკრძალა სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების (მათ შორის, ელფოსტა), საინფორმაციო მომსახურებისა (მათ შორის, ოფიციალური ვებგვერდი ან/და ბიუჯეტის სახსრებით ადმინისტრირებული სოციალური მედია) და სხვადასხვა სახის ტექნიკის (მათ შორის, ზემოხსენებული საკომუნიკაციო საშუალებებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენების გზით პირად სოციალურ ქსელებში წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ნიშნების შემცველი ინფორმაციის განთავსება) გამოყენება.

2020 წლის 18 სექტემბრის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა არჩევნების თავისუფალ, უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად ზოგიერთი ღონისძიების მომწესრიგებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ბრძანების თანახმად, ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედი შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფები, წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას და უშუალოდ არჩევნების დღეს, თავიანთ სამოქმედო არეალში, სამართალდარღვევათა პრევენციას და მათზე დროულ რეაგირებას უზრუნველყოფენ. გარდა ამისა, ბრძანება ყველა პოლიციელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის მკაცრად დაცვას ავალდებულებს.

არსებული ეპიდემიური სიტუაციის გათვალისწინებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტთან კოორდინირებული თანამშრომლობის შედეგად, შემუშავდა არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარების ხელშეწყობისთვის ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (კოვიდ-19) დაკავშირებული რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის, რომელიც ასევე ასახულია მინისტრის ბრძანებაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში წინასაარჩევნოდ დაგეგმილია სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოებისა და სხვა საპოლიციო ქვედანაყოფების მოსამსახურეების (გადამზადდება 4000-ზე მეტი მოსამსახურე) გადამზადება, რაც მიზნად ისახავს პოლიციელთა კვალიფიკაციის ამაღლებას საარჩევნო კანონმდებლობის მიმართულებით და ხელს შეუწყობს მათზე დაკისრებული მოვალეობის ეფექტიანად განხორციელებას. ტრენინგის ფარგლებში მსმენელები გაეცნობიან საარჩევნო კანონმდებლობას, საპოლიციო ღონისძიებებს არჩევნების პროცესში, რეკომენდაციებს კონფლიქტის განმუხტვის შესახებ და პოლიციის რეაგირების მექანიზმებს არჩევნების მიმდინარეობისას გამოვლენილ სამართალდარღვევებზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც პოლიტიკურად ნეიტრალური უწყება, მოწოდებულია უზრუნველყოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მთელი ქვეყნის მასშტაბით უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარება და ამ მიმართულებით გამოთქვამს მზაობას ითანამშრომლოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან.“

„გიგა ტატიაშვილი და მერსედესის სხვა 5 მგზავრი ჩხუბში მონაწილეობდნენ“

იაკობ ბრეგვაძემ ჩვენება მისცა

გიორგი შაქარაშვილის საქმეზე დაკავებული არასრულწლოვნების საქმის პროკურორის ნანა გუგუტიშვილის განცხადებით, ფოტოგრაფ იაკობ ბრეგვაძის ჩვენებით, ჩხუბში „მერსედესის“ ექვსივე მგზავრი, მათ შორის, გიგა ტატიაშვილიც იღებდა მონაწილეობას.

პროკურორის განმარტებითვე, ბრეგვაძეს კონკრეტული პირების სახელები და გვარები არ დაუსახელებია, მან მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებზე ისაუბრა.

– კონკრეტულმა მოწმემ ისაუბრა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რისი თვითმხილველიც თავად იყო. მოწმემ დეტალურად მიუთითა, მათი გადაადგილების დროს, როცა პირველი ავტომობილი „მერსედესი“ მოვიდა, რა მოქმედებები განხორციელდა.

მისი ჩვენებით, 6 ადამიანი გადმოვიდა მანქანიდან, ერთი შეიარაღებული იყო რკინის ხელკეტით, რომელიც კონსტანტინე ღიბრაძეს დაარტყა, რაც მოწმემ ადგილზე საკუთარი თვალით დაინახა. ასევე, ერთ-ერთმა პირმა მიწის საფარიდან ქვა აიღო და ექვსივე პიროვნება ჩაერთო ძალადობაში.

როგორც მოწმემ განმარტა, სანამ ღობეზე გადახტებოდა, დაინახა, როგორ შეუერთდა მათ ის ორი პიროვნებაც, რომელიც მანამდე უკან ფეხით მოყვებოდა. ჩხუბს რაც შეეხება, დაინახა, რომ ერთი პიროვნება იყო წაქცეული, იმ მომენტში იდენტიფიცირება ვერ მოახდინა, ალყაში მოიქციესო, ასე განმარტა.

მოწმის თქმით, რვავე პიროვნება ჩართული იყო ჩხუბში და იქნევდნენ ხელებს და ფეხებს. კონკრეტული პიროვნება სახელით და გვარით არ დაუსახელებია, თუმცა, დააკონკრეტა რამდენჯერმე, რომ ჩხუბში რვავე პირი იყო ჩართული, იქნევდნენ ხელებს და ფეხებს და ალყაში ჰყავდათ ერთი პირი. ვინაიდან მან შენობას შეაფარა თავი, დაზიანებული პიროვნება არ უნახავს, – განაცხადა პროკურორმა გუგუტიშვილმა.

იაკობ ბრეგვაძის ადვოკატ ირმა ჭკადუას თქმით, ბრეგვაძეს ჩხუბში მონაწილე კონკრეტული პირების ამოცნობა არ შეუძლია, თუმცა, ადასტურებს, რომ 8 პირი ჩხუბში მონაწილეობდა.

– იაკობ ბრეგვაძემ უამრავ კითხვას უპასუხა, როგორც ბრალდების მხარის, ასევე ჩემი პატივცემული კოლეგების. ყველასთვის ცნობილია, რომ იაკობ ბრეგვაძეს არასდროს, არც ერთ კომენტარში, მათ შორის, არც ჩვენებაში არ უთქვამს, რომ მას კონკრეტული პირების ამოცნობა შეუძლია. შესაბამისად, მსგავსი საუბარი არ ყოფილა.

იაკობ ბრეგვაძემ თქვა, რომ იმ 8 ადამიანის სახელი და გვარები არ იცის, მათი ამოცნობა არ შეუძლია, მაგრამ თითოეული მათგანი ჩხუბში იღებდა მონაწილეობას. მან დაინახა მოქნეული ხელები, მაგრამ კონკრეტულ ადამიანს ხვდებოდა თუ არა, ეს არ დამინახავსო.

„ტოიოტას“ მგზავრებთან დაკავშირებითაც იყო კითხვები, ეს ლოკაციის სხვა ადგილი იყო, როცა კიბიდან ჩამოვიდა, დაინახა ფანჯრიდან ორი ადამიანი, რომელიც ფეხზე იდგა, სავარაუდოდ, მისიანები. ამ დროს გაჩერდა ავტომანქანა, დაიწყო ჩხუბი, აბრუნდა უკან და არაფერი უნახავს.

ხიდის ქვეშ რა ხდებოდა, ამას ბრეგვაძე ვერასდროს დაინახავდა და არც არასდროს უთქვამს. საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს, მან თქვა, რომ ბათუმისკენ მიმავალ გზაზე, აივანზე დგომისას დაინახა, მეორე მხარეს, ანუ დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე თეთრპერანგიანი ადამიანი, რომელიც ივარაუდა, რომ იყო ახვლედიანი. ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიმავალ გზაზე დაინახა ორი ადამიანი. ეს არ ხდებოდა ხიდის ქვეშ, ეს ხდებოდა ზედ ხიდზე, შესაბამისად, ხიდის ქვეშ რა ხდებოდა, არ დაუნახავს, არ იცის, – განაცხადა ადვოკატმა ჭკადუამ.

„შვილი მომიკლეს შმაგი რამაზაშვილმა, გიორგი ჩაღმაველმა და ანრი რამაზაშვილმა“

რას ითხოვს მოსამართლე ნუნუ ნემსიწვერიძე

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა 3 ივნისს, ახმეტაში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის დეტალები, რამაც შესაძლოა საქმეს სრულიად სხვა მიმართულება მისცეს.

მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა? – გამოძიების დღის წესრიგში საკითხი ამგვარად მას შემდეგ დადგა, რაც თელავის რაიონულ პროკურატურაში მოსამართლე ნუნუ ნემსიწვერიძის განცხადება მიიღეს.

ნუნუ ნემსიწვერიძეს სასამართლო სისტემაში კარგად იცნობენ. გურჯაანის რაიონული სასამართლოს მაგისტრი მოსამართლის სახელს რამდენიმე გახმაურებული საქმე უკავშირდება.

მან განიხილა გასულ წელს ნაცმოძრაობის წევრის, დავით კირკიტაძის საქმე, რომელსაც პროკურატურა პოლიციელებზე თავდასხმაში სდებდა ბრალს.

2007 წელს კი მოსამართლე ნემსიწვერიძემ წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა ალექსი ბახუტოვს, რომელსაც მაშინდელი პროკურატურა განზრახ მკვლელობაში ადანაშაულებდა, თუმცა რამდენიმე თვეში თავად „მოკლული“ ცოცხალი გამოჩნდა და განაცხადა, რომ მთაში მწყემსად იყო წასული.

2018 წელს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლე ნუნუ ნემსიწვერიძე უვადო მოსამართლედ აირჩია.

ცოტა ხნის წინ, ნუნუ ნემსიწვერიძის ოჯახში მძიმე ტრაგედია დატრიალდა – დაიღუპა მისი ერთადერთი შვილი, 21 წლის ცოტნე ხარატიშვილი, რომელიც ილიას უნივერსიტეტის სტუდენტი გახლდათ.

ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, ცოტნე ახმეტაში, სოფელ ოჟიოში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა, თუმცა თავად ნუნუ ნემსიწვერიძეს მომხდარის სხვა ვერსია აქვს.

ფაქტზე დაკავებულია 21 წლის შმაგი რამაზაშვილი.

ჯერჯერობით, გამოძიება მას სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება, რაც გულისხმობს ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის, ან უსაფრთხოების წესების დარღვევას, რამაც ადამიანის სიკვდილი გამოიწვია.

ცოტა ხნის წინ, რამაზაშვილს ბრალი დაუმძიმეს და ამჟამად ედავებიან, რომ საჭეს ნასვამ მდგომარეობაში მართავდა, თუმცა საქმეში დევს სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, რომლის მიხედვითაც შმაგი რამაზაშვილი შემთხვევის დროს ფხიზელი იყო.

თავად ბრალდებული მძღოლი ყვება, რომ მეგობრებთან ერთად ავტომობილით გადაადგილდებოდა, როდესაც მოულოდნელად წინ ძაღლმა გადაურბინა და შეეცადა მისთვის მანქანის არიდებას, თუმცა მანქანა მოსრიალდა, მძღოლმა საჭე ვეღარ დაიმორჩილა და განათების ბოძს დაეჯახა.

შემთხვევის დროს ცოტნე ხარატიშვილი ავტომობილის უკანა სავარძელში იმყოფებოდა და შეჯახების მომენტში სასიკვდილო დაზიანებები მიიღო.

მძღოლი, შმაგი რამაზაშვილი, მალევე დააკავეს, სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით, ავტომობილში მჯდომი კიდევ ერთი მეგობრის, გიორგი ჩაღმაველის მიმართ კი საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო ცრუ ჩვენების მუხლით.

საქმე ის გახლავთ, რომ გარდაცვლილის დედა, ნუნუ ნემსიწვერიძე ვარაუდობს, რომ ეს არ იყო უბედური შემთხვევა და შესაძლოა მისი შვილი მოკლეს.

გამოძიება არკვევს, ხომ არ დამალა მოწმე გიორგი ჩაღმაველმა შესაძლო მკვლელობის ფაქტი და ავტოსაგზაო შემთხვევას ხომ არ უძღოდა წინ მეგობრებს შორის კამათი?

„პრაიმტაიმს“ ხელში ჩაუვარდა ნუნუ ნემსიწვერიძის მიერ თელავის რაიონული პროკურატურისთვის გაგზავნილი წერილი, სადაც მოსამართლე ეჭვს გამოთქვამს, რომ მისი შვილი მოკლეს, შემდეგ კი ავარიის ინსცენირება მოაწყვეს.

„2020 წლის 3 ივნისს ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დამეღუპა შვილი, ცოტნე ხარატიშვილი. სისხლის სამართლის საქმის გაცნობის შემდეგ გამიჩნდა ეჭვი, რომ შესაძლოა ჩემი შვილის მიმართ არსებული დაზიანებები არ არის მიღებული ავტოავარიის დროს. შესაძლოა, ჩემი შვილი არის ძალადობრივი ქმედებების შედეგად დაზიანებული და ავტოსაგზაო შემთხვევა არის გათამაშებული.

მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ ჩემი შვილი მოიკლეს შმაგი რამაზაშვილმა, გიორგი ჩაღმაველმა და ანრი რამაზაშვილმა.

დასახელებული გარემოებების დასადგენად გთხოვთ, დამკითხოთ მე და მოხდეს ჩემი შვილის, ცოტნე ხარატიშვილის მობილური ტელეფონიდან წინა ერთი თვის მანძილზე შემავალი და გამავალი ზარის დადგენა, პირთა დემოგრაფიული მონაცემებით.

ასევე მოხდეს სატელეფონო შემავალი და გამავალი ზარების ამოღება შმაგი რამაზაშვილის, გიორგი ჩაღმაველის და ანრი რამაზაშვილის ტელეფონებიდან“ – წერს თელავის პროკურატურისთვის გაგზავნილ განცხადებაში მოსამართლე ნუნუ ნემსიწვერიძე.

„7.000 ლარი თაღლითური გზით გადარიცხა“

შსს-მ ოზურგეთში 2 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 2 პირი: 1992 წელს დაბადებული ტ.ც. და 1990 წელს დაბადებული ო.ჩ. დააკავეს.

ტ.ც.-ს ბრალად ედება კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, კომპიუტერული მონაცემების უნებართვო შეცვლა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ო.ჩ.-ს კი ბრალი ედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

დანაშაულები 3-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 28 აპრილს და 6 ივნისს, ტ.ც.-მ მის მიერ კუსტარულად აწყობილი სწრაფი ჩარიცხვის აპარატის გამოყენებით მოახერხა ქალაქ სენაკსა და ქალაქ ზესტაფონში მდებარე სწრაფი ჩარიცხვის აპარატების პროგრამული უზრუნველყოფის გასაღების, ე.წ. „დონგლის“ კოდის გაწერა. მან, კუსტარული სწრაფი ჩარიცხვის აპარატის გამოყენებით, ონლაინ ტოტალიზატორის მის მიერვე შექმნილ, არავერიფიცირებულ და ერთ-ერთი მომხმარებლის ვერიფიცირებულ ანგარიშებზე თაღლითური გზით გადარიცხა 7.000 ლარი. აღნიშნული თანხის ნაწილი – 2.000 ლარი ტ.ც.-მ წინასწარი შეთანხმებით, ამავე ონლაინ ტოტალიზატორის მომხმარებელ ო.ჩ.-სთან ერთად გაანაღდა. მეორე ნაწილი კი – 5.000 ლარი ტ.ც.-მ ქობულეთში მდებარე ერთ-ერთი ბანკომატიდან თავად გამოიტანა.

სამართალდამცველებმა, კომპლექსურად ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორივე ბრალდებული ოზურგეთში დააკავეს.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, კომპიუტერული ტექნიკა, მობილური ტელეფონები, საბანკო პლასტიკური ბარათები და სიმბარათები ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

მომხდარ ფაქტებზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 284-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 286-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

თეონა თამაზაშვილი: „თამარს ბოლო ღამეს ჩემ გვერდით ეძინა, ძილში სულ კრთოდა“

გარდაცვლილი პროგრამისტის, თამარ ბაჩალიაშვილის დედამ „ტვ პირველის“ ეთერში შვილის გაუჩინარების წინა ღამე გაიხსენა.

თეონა თამაზაშვილის თქმით, თამარი ძილში კრთოდა, რასაც მისი გადაღლით ხსნიდა.

– ბოლო საღამოს ერთად ვუყურეთ სერიალს, „ჩემი ცოლის დაქალებს“. როგორც ყოველთვის მოწყენილი და ჩაფიქრებული იყო. მიზეზს რომ ვეკითხებოდი, არაფერს მპასუხობდა. ასე ალბათ იმიტომ იყო, აშინებდნენ, ალბათ ჩვენ დაგვმართებდნენ რამეს.

დაძაბული იყო. ჩემს გვერდზე ეძინა და იმდენად იყო შეშინებული, რომ ძილში კრთოდა. მთელი ღამე პირჯვარს ვწერდი. მის ასეთ მდგომარეობას გადაღლით ვხსნიდი.

ორ სამსახურში მუშაობდა და იღლებოდა, თან მაგისტრატურისთვის ემზადებოდა. წინა კვირას ბრიტანული ინგლისურის გამოცდა ჩააბარა, – განაცხადა თეონა თამაზაშვილმა.

თამარ ბაჩალიაშვილი 18 ივლისს გაუჩინარდა. ახალგაზრდა პროგრამისტი სათვალთვალო კამერებმა ბოლოს თეთრიწყაროს რაიონში დააფიქსირეს. ის 4-დღიანი ძებნის შემდეგ თეთრიწყაროს ტყესთან, საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს.

ბაჩალიაშვილის საქმეზე გამოძიება თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით დაიწყო, შემდეგ კი ბრალდების კვალიფიკაციას თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლი დაემატა.

ირანის მოქალაქეებს ვალუტის ჯიხურზე თავდასხმისთვის 7 და 8 წლით ციხე მიესაჯათ

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობასა და ჯანმრთელობის დაზიანებისთვის ბრალდებულები, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეები ჰ.მ. და მ.შ. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2020 წლის 15 იანვარს, ქ.თბილისში, ახვლედიანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში ჰ.მ. და მ.შ. სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით თავს დაესხნენ მოლარე-ოპერატორს თ.მ.-ს, მიაყენეს სხეულის დაზიანებები და ხელჩანთა გასტაცეს.

სამართალდამცველებმა ჰ.მ. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად) და 118-ე მუხლის პირველი ნაწილით (სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. რაც შეეხება მეორე ბრალდებულს მ.შ.-ს, ვინაიდან ის ემალება გამოძიებას, მას ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ორივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად ჰ.მ.-ს 7 წლით, ხოლო მ.შ.-ს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

თბილისის ცენტრში სარდაფში საბჭოთა საბრძოლო იარაღი იპოვეს

ეს ამბავი რამდენიმე დღის წინ თბილისის ცენტრში მოხდა.

პრაიმტაიმის ცნობით, 80 წლის მარტოხელა მოხუცმა კაცმა საკუთარი ფართი კომპანიას ოფისის მოსაწყობად მიაქირავა.

კომპანიის თანამშრომლებმა ფართის დასუფთავება დაიწყეს, მათ შორის სარდაფის, სადაც მათ მოულოდნელი სურათი დახვდათ.

სარდაფში სხვადასხვა დამტვერილ ნივთებს შორის საბჭოთა დროინდელი საბრძოლო მასალა იპოვეს, თანაც არაერთი.

კომპანიის თანამშრომლებმა ადგილზე პოლიცია გამოიძახეს, დაკითხეს ფართის მეპატრონე მოხუციც, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, ვის ეკუთვნის, ან ვინ და როდის შეინახა ძველი საბრძოლო მასალა სარდაფში.

დიდი ბრიტანეთი ბელარუსის წინააღმდეგ „მაგნიტსკის სანქციებს“ ამზადებს

დიდი ბრიტანეთი, შეერთებულ შტატებსა და კანადასთან კოორდინაციით, ბელარუსის წინააღმდეგ „მაგნიტსკის სანქციებს“ ამზადებს.

ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დომინიკ რააბმა განაცხადა.

– ლუკაშენკოს თაღლითური ინაუგურაციის გათვალისწინებით, მივმართე საგარეო ოფისის სანქციების გუნდს, მოამზადონ „მაგნიტსკის სანქციები“ იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ადამიანის უფლებების დარღვევებზე არიან პასუხისმგებლები, – აღნიშნა რააბმა პარლამენტში.

დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის განმარტებით, განხილვა „პოტენციური ინდივიდების მთელი სპექტრის“ შესახებ მიმდინარეობს, თუმცა მას კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია.

ბრიტანეთი მზად იყო, ბელარუსის სანქციებზე ევროკავშირთან ემუშავა, თუმცა ევროკავშირის გეგმა კვიპროსმა დაბლოკა.

ჟოზეფ ბორელი: „ალექსანდრე ლუკაშენკოს ახალი მანდატი ლეგიტიმური არ არის“

ალექსანდრე ლუკაშენკოს „ფიცის დადება“ და ახალი მანდატი ლეგიტიმური არ არის.

ამის შესახებ საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ჟოზეფ ბორელის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

„9 აგვისტოს გამართული საპრეზიდენტო არჩევნები არც თავისუფალი იყო და არც სამართლიანი. ევროკავშირი გაყალბებულ შედეგებს არ ცნობს. შედეგად, 23 სექტემბერს გამართულ ე.წ. ფიცის დადებას და ალექსანდრე ლუკაშენკოს ახალ მანდატს დემოკრატიული ლეგიტიმაცია არ გააჩნია და პირდაპირ ეწინააღმდეგება ბელარუსის მოსახლეობის დიდი ნაწილის ნებას“ – აცხადებს ჟოზეფ ბორელი.

ნავალნის საბანკო ანგარიშები გაუყინეს და ბინა დაუყადაღეს

ალექსეი ნავალნის საბანკო ანგარიშები გაყინეს, მისი ბინა კი, რომელიც მოსკოვში მდებარეობს, დააყადაღეს.

ამის შესახებ ნავალნის პრესსპიკერმა კირა იარმიშმა განაცხადა.

– ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელია ბინის გაყიდვა, გაჩუქება ან დაგირავება,– აღნიშნა იარმიშმა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ალექსეი ნავალნი შარიტეს კლინიკიდან გაწერეს.

ნავალნი საზოგადოების წინაშეც წარდგა.

– გერმანელ ექიმებს მსურს უდიდესი მადლობა გადავუხადო. მათ ჩემი სიცოცხლე იხსნეს, – თქვა ნავალნიმ.

გერმანელი ექიმების აზრით, ნავალნის საბოლოო გამოჯანმრთელება შესაძლებელია, თუმცა ამას ერთი წელი დასჭირდება.

ნავალნიმ შარიტეს კლინიკაში 32 დღე დაჰყო. აქედან 24 რეანიმაციაში გაატარა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

შერმადინი საუკეთესოა, შენგელიამ რუსეთი ტრავმით დაიწყო

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის მე-2 ტურში გიორგი შერმადინის ტენერიფემ სტუმრად 81:70 დაამარცხა ბილბაო და, ჯერჯერობით, ასპროცენტიანი შედეგი აქვს.

ქართველმა ცენტრმა 25 წუთში 19 ქულა (10-დან 5 ორქულიანი და 10-დან 9 საჯარიმო), 3 მოხსნა და 1 პასი მიითვალა, მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი კი 20 იყო და მატჩის საუკეთესო კალათბურთელი გახდა.

ტენერიფეში ამდენივე ქულაა ბრუნო ფიტიპალდოს ანგარიშზე, ხოლო ბილბაოში – ჯეილონ ბრაუნის, მაგრამ საუკეთესოდ ჩვენებური დასახელდა.

ტენერიფე მომდევნო ტურში ისევ სტუმრად ითამაშებს და მურსიას დაუპირისპირდება.

უიღბლოდ დაიწყო სეზონი თორნიკე შენგელიასთვის. პირველ ოფიციალურ, სადებიუტო მატჩში მოსკოვის ცსკა-ს ქართველმა ფორვარდმა მუხლის ტრავმა მიიღო. შენგელიამ ფეხი იტკინა, რომელიც გაუყინეს. მერე თამაშში დასაბრუნებლად კი ხურდებოდა, მაგრამ მწვრთნელმა დიმიტრის იტუდისმა პარკეტზე აღარ შეუშვა. ამის არავითარი საჭიროება არ არსებობდა, რადგან ცსკამ ასტანა დამაჯერებლად დაამარცხა – 93:60.

შენგელიამ 3 წუთში 2 ქულის ჩაგდება მაინც მოასწრო, 1 ორქულიანი ააცილა, 2-ჯერ

მოხსნა და ბურთი ერთხელ ააცილა.

მატჩის შემდეგ ქართველმა ლეგიონერმა გამოკვლევა მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში გაიარა და გაირკვა, რომ მარჯვენა წვივის კუნთი აქვს დაზიანებული. შედეგად, შენგელიას კონსერვატიული თერაპიის გავლა მოუწევს და უახლოეს მატჩს გამოტოვებს. თუ როდის დაბრუნდება ქართველი ფორვარდი მოედანზე, ეს დამატებითი კვლევების შედეგად გაირკვევა.

ეს გახლდათ ვითიბი ლიგის პირველი ტურის მატჩი. ცსკა ამავე ტურნირის მეორე ტურში პერმის პარმას უმასპინძლებს, ხოლო ევროლიგას 1 ოქტომბერს, ესპანეთში ბარსელონასთან ჯახით დაიწყებს.

სამეული მესის და რონალდუს გარეშე შეივსო

კევინ დე ბრუინი, რობერტ ლევანდოვსკი და მანუელ ნოიერი – ეს 3 ფეხბურთელი იბრძოლებს 2019-20 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშის პრიზისთვის. ეს სია უეფამ საკუთარ ვებგვერდზე წარმოადგინა.

პირველად ხდება, რომ ბოლო 12 წლის მანძილზე სამეულში არც კრისტიანუ რონალდუა და არც ლიონელ მესი.

ბელგიელი დე ბრუინი მანჩესტერ სიტის ნახევარმცველია, ხოლო თავდამსხმელი ლევანდოვსკი და მეკარე ნოიერი მიუნხენის ბაიერნს წარმოადგენენ.

მათ გარდა, ათეულში მოხვდნენ, მაგრამ პრიზისთვის ვერ იბრძოლებენ:

4-5. ლიონელ მესი, ნეიმარი (53 ხმა); 6. ტომას მიულერი (41); 7. კილიან მბაპე (39); 8. ტიაგო ალკანტარა (27); 9. ჯოშუა კიმიხი (26); 10. რონალდუ (25).

გამოცხადდა ნომინანტი მწვრთნელებიც: ჰანს დიტერ ფლიკი (ბაიერნი), იურგენ კლოპი (ლივერპული) და იულიან ნაგელსმანი (ლაიფციგი). შენიშნავდით, რომ სამივე მწვრთნელი გერმანელია.

შეგახსენებთ, ჟიური იმ 32 მწვრთნელისგან შედგება, რომლებიც ჩემპიონთა ლიგის გასულ გათამაშებაში მონაწილეობდნენ. ასევე, უეფას 55 წევრი ასოციაციის 55 ჟურნალისტისგან. საქართველოდან გამოკითხვაში ტრადიციულად სარბიელი და მისი წარმომადგენელი დავით კაკაბაძე მონაწილეობდა. თუმცა, ჯერჯერობით, უცნობია როგორ გადაანაწილა ხმები ჩვენებურმა.

საუკეთესო ფეხბურთელი 1 ოქტომბერს, ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე ტურნირის ჯგუფური ეტაპის წილისყრისას გამოცხადდება.

შედეგები

23 სექტემბერი
ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

გენტი-დინამო (კ)	1:2
მიოლდე-ფერენცვაროში	3:3
ოლიმპიაკოსი-ომონია	2:0

უეფას ევროპის ლიგა

აპოლონი-ლეხი	0:5

საზოგადოება

ნიკა ანთიძე ბრალდებებს პასუხობს

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე ნიკა ვაჩეიშვილის ბრალდებებს პასუხობს და გელათში არსებულ ვითარებას აფასებს:

– გელათის ღვთისმშობლის ტაძრის სარესტავრაციო პროცესების მიმდინარეობისას გამოვლენილ ხარვეზებზე არაერთი განმარტება გამიკეთებია. არასდროს უარმიყვია არსებული პრობლემები და ისინი არც გამარტივებულად წარმომიჩენია. განვითარებულ პრობლემაზე ჩემი წილობრივი პასუხისმგებლობის აღების კვალდაკვალ, 5 თვის განმავლობაში მედია საინფორმაციო ველზე მყარად დავრჩი მოზომილი განმარტებების პოზიციაში და ხშირ შემთხვევაში უსაფუძვლო ცილისწამებებისთვის საპასუხო ბრალდებებით არ მიპასუხია.

სამომავლოდ მიმდინარე პროცესების გამჭვირვალედ წარმოჩენისთვის დღესაც ვადასტურებ სრულ მზაობას. ამ მიზნით უახლოეს დღეებში ჩემი უწყება ახალ საჯარო ინფორმაციას გაავრცელებს სამონასტრო კომპლექსზე არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.

აქვე მსურს ერთმნიშვნელოვნად დავადასტურო, რომ საზოგადოებისა და პროფესიული წრეების უმეტესი ნაწილიდან არგუმენტირებული კრიტიკა და კამათი არასდროს მიმიღია შეურაცხყოფად. მაგრამ ვფიქრობთ, დადგა მომენტი, როდესაც ცილისწამების შინაარსი და, მით უფრო, მისი ავტორის პიროვნული „ღვაწლი“ მაძლევს თმენის ვალდებულებებიდან ნაწილობრივი გადახვევის უფლებასა და სათქმელის ღიად წარმოჩენის საშუალებას.

ძალზე დასანანია, როდესაც გელათის პრობლემური საკითხი, რომელიც თავისთავად რთულ გამოწვევას წარმოადგენს მთელი პროფესიული საზოგადოებისათვის, პოლიტიკურად მოტივირებული ბატონი ნიკა ვაჩეიშვილისთვის ვიწროპარტიული ინტერესების გამართლების იარაღი აღმოჩნდა. ღიად თუ ფარულად. ფაქტების დამახინჯებით. მთავარია, მეთოდი ამართლებდეს მიზანს, შეილახოს ძეგლთა დაცვის ინსტიტუციის რეპუტაცია, თუნდაც ქმედება სცდებოდეს კოლეგიალობის ნორმებს, კონსტრუქციულ კრიტიკას!

პოლიტკონიუნქტურის საფარქვეშ კრიტიკაც გასაგები და მისაღები იქნებოდა, რომ არა ბატონი ვაჩეიშვილის მოღვაწეობის წარუმატებელი მომენტების სიმრავლე. წარუმატებლობებისა, რომელთა ნეგატიურმა შინაარსმა ქვეყანას მემკვიდრეობად ხშირ შემთხვევაში გამოუსწორებელი შედეგები დაუტოვა. ჩამონათვალი ერთი ნაწილია სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელის „მოღვაწეობისა“, რომელიც, ვფიქრობ, მკითხველს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მის „სახელოვან“ წარსულზე.

მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ისტორიული ძეგლის დამცავ ზონებში განხორციელებული ქაოტური და არათანმიმდევრული მშენებლობების, 2006-2007 წლებში არქეოლოგიურ დამცავ ზონაში მოქცეული 80 ერთეული მიწების გასხვისებისა და 2012 წელს მათი სამშენებლოდ გამოყენების მიზნით კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შემცირების შედეგად, მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი 2009 წელს ჯერ საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხაში მოექცა და 2016 წლამდე იდგა გარიცხვის საფრთხის წინაშე.

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მოთხოვნის საფუძველზე, მცხეთის დამცავ ზონებში 2012 წლამდე ჩადენილი გადაცდომების გამოსასწორებლად, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციისა და დამცავი ზონების კორექტირების პროექტის მომზადებამდე, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა მცხეთისთვის დაეწესებინა მორატორიუმის რეჟიმი. უკანონოდ გასხვისებული მიწების დასაბრუნებლად, დღის წესრიგში დადგა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ახალი მიწათმესაკუთრეების ფულადი კომპენსირების საკითხი!

სააგენტოში ნიკოლოზ ვაჩეიშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის შენობა 1 ლარად გასხვისდა, რამაც მუზეუმის ფონდები განადგურების საშიშროების წინაშე დააყენა.

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ მიღებული გამაფრთხილებელი გადაწყვეტილების მიუხედავად, ბაგრატის ტაძარზე სახელმწიფოს მიერ მაინც გაგრძელდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რამაც ბაგრატის კათედრალი და მასთან ერთად გელათის მონასტერი 2012 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოღების გარდაუვალი რეალობის წინაშე დააყენა. ქვეყნისთვის სავალალოდ დასრულებული სარეკონსტრუქციო პროექტისთვის სააგენტოს იმჟამინდელმა ხელმძღვანელმა დიდი ოდენობის ფულადი პრემიაც მიიღო.

დარგის მესვეურების თავსატეხი გახდა 2010-2012 წლებში გრემის მთავარანგელოზის კომპლექსზე განხორციელებული სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში გადახურვის კრამიტით მოწყობის სარესტავრაციო ხარვეზების შედეგები, რის გამოც ტაძარში ნალექი მოკლე დროის მანძილზე აქტიურად ჩაედინებოდა. დღეს კი უწყება იძულებულია 9 წლის წინანდელ ხარვეზებზე დამატებითი საბიუჯეტო სახსრები გაიღოს!

არასრულფასოვანი პროცესების „დამსახურებით“ წყლის ინფილტრაციის პრობლემები გამოუვლინდა ატენის, ყინწვისის, ტიმოთესუბნისა და ფიტარეთის ტაძრებს, სადაც სახელმწიფო განმეორებით სარესტავრაციო ჩარევებს ახორციელებს.

ჯეროვანი ყურადღების გარეშე იყო დატოვებული მაღალმთიანი სოფლების არქიტექტურული კომპლექსები, რომელთაც წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეგრესი განიცადეს.

ყურადღების გარეშე დარჩა ე.წ. კლდის ძეგლებიც – ვარძია, უფლისციხე; ვანის ქვაბები; დავითგარეჯის კომპლექსი, რომელთა ჰიდროგეოლოგიურმა დეგრადაციამ და გადაუდებელმა მოთხოვნილებებმა ძეგლთა დაცვითი უწყება უმნიშვნელოვანესი გამოწვევების წინაშე დააყენა.

წლების განმავლობაში ყურადღების მიღმა აღმოჩნდა არქეოლოგიური კვლევა-ძიების მიმართულება.

ძეგლთა დაცვითი ინსტიტუციის ისტორიული შენობის დიდი ნაწილი დაუსაბუთებლად გადაეცა სხვა ორგანიზაციას, რის შედეგადაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ადმინისტრაციული შენობის გარეშეა დარჩენილი და იჯარით აღებულ სივრცეშია განთავსებული.

სააგენტოს მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში მართვის ადმინისტრირების დახვეწის შედეგად მიღებული შემოსავლების მკვეთრმა მატებამ გამოავლინა 2013 წლის ჩათვლით სტრუქტურულ ქვედანაყოფებში მმართველობითი ხარვეზების არსებობა, რაც თავის მხრივ საფუძვლიან ეჭვებს ბადებს ადმინისტრირების კეთილსინდისირებასთან დაკავშირებით.

ბატონი ვაჩეიშვილის ხელმძღვანელობისას გამოვლენილი მმართველობითი ხარვეზების არასრული ჩამონათვალი, რომელმაც კულტურული მემკვიდრეობის მთელი რიგი მიმართულებები წლების განმავლობაში ჩიხში შეიყვანა, მის ამჟამინდელ პოზიციას ცალსახად პოლიტანგაჟირებულად აჩენს და საფუძვლიანად მაეჭვებს მის ობიექტურობაში. ცხადია, მისი მოღვაწეობის წარუმატებლობები სააგენტოს არ უხსნის დარგის წინაშე აღებულ პასუხისმგებლობას და არ უგულებელყოფს გამოწვევის რთულს სპექტრს, რომელთანაც გამკლავება საზოგადოების ფართო წრეების თანამონაწილეობისა და ჯანსაღი, ვიმეორებ ჯანსაღი და ობიექტური კრიტიკის გარეშე წარმოუდგენელია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუვეს გეგმები

ტურინის იუვენტუსმა დროებით ალვარო მორატა დაიბრუნა. ფეხბურთელი ანდრეა პირლოს გუნდში ერთწლიანი არენდით იასპარეზებს, რომლის სანაცვლოდ კლუბი 10 მილიონს გაიღებს.

აღნიშნული შეთანხმების გახანგრძლივება კიდევ ერთი წლით არის შესაძლებელი ანალოგიური თანხის სანაცვლოდ.

საერთო ჯამში, ესპანელის სრულად გამოსყიდვა ტურინელებს 55 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

ალვარო მორატა:

– ძალიან ბედნიერი ვარ აქ დაბრუნებით, რადგან კარიერის საკმაოდ მნიშვნელოვან ეტაპზე იუვენტუსმა ჩემი ირწმუნა! დღეს, მენტალურად უფრო მზად ვარ ასეთი დიდი გრანდისთვის, რომლისთვისაც მაქსიმუმს გავიღებ. იუვენტუსი საოცარი ატმოსფეროს მქონე კლუბია. ეს არის დიდი ოჯახი, რომელიც განსაკუთრებულ ფასეულობებზეა დაფუძნებული. მოუთმენლად ველი ახალი თავგადასავლის დაწყებას, რადგან პირველი გამოცდილება მართლაც დაუვიწყარი გამოდგა და დარწმუნებული ვარ, ეს უფრო გრანდიოზული იქნება.

იუვენტუსში დიბალას მისვლით კარგად არ იკვეთება პაულო დიბალას ბედი, რომელმაც ტრავმა მოირჩინა და რომასთან მოახლოებულ შეხვედრას სრულ მზადყოფნაში ხვდება.

თუმცა, ნაკლებად მოსალოდნელია არგენტინელი ფეხბურთელი სასტარტო შემადგენლობაში ვიხილოთ. ისე კი ძალიან საინტერესოა, ლა ჯოიას რა როლი ექნება ანდრეა პირლოს ტაქტიკურ მონახაზში მას შემდეგ, რაც გუნდში მორატას გარდა დეიან კულუსევსკიც მივიდა.

ყველამ კარგად ხვდება, რომ კრიშტიანუ რონალდუ ხელშეუხებელი იქნება და დიდი ალბათობით ზემოთ ჩამოთვლილი მოთამაშეები პერიოდულად ჩაანაცვლებენ ერთმანეთს პორტუგალიელთან დუეტის შესაქმნელად.

პარალელურად არგენტინელთან დაკავშირებით ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მხარეები განაგრძობენ კონსულტაციას ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით. დიბალა ანაზღაურების სახით 15 მილიონს ითხოვს, ხოლო იუვე 10-12 მილიონზეა თანახმა. საერთო მოსაზრებით, მხარეები შეთანხმებას მიაღწევენ, რადგან თანამშრომლობის სურვილი ყოველ მათგანს ძალზე დიდი აქვს.

დამატებითი ინფორმაცია ვრცელდება დუგლას კოშტასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ფეხბურთელი არ შედის ანდრეა პირლოს აქტიურ გეგმებში, რის გამოც მისი საფეხბურთო აგენტი ჟორჟ მენდეში კლიენტს წასვლისკენ უბიძგებს.

ამ ეტაპზე ფეხბურთელით არაერთი კლუბი ინტერესდება, თუმცა თავად მენდეშს კოშტას ვულვზში გადაყვანა სურს, რისი მიზეზიც პრემიერ ლიგის ბინადრებთან კარგი დამოკიდებულებაა.

იუვენტუსი ამის საპასუხოდ შემცვლელის ძიებას იწყებს და პირლოსთვის პრიორიტეტულ ტრანსფერად ფედერიკო კიეზა ისახება. იტალიელი შემტევი არაერთხელ დაუკავშირეს ტურინს, მაგრამ მისი ღირებულება არ იძლევა რაციონალური საუბრის საშუალებას.

თუმცა, კოვიდის კრიზისიდან გამომდინარე იები, როგორც ჩანს, დათმობაზე წასვლას გეგმავენ და მზად არიან ბიანკონერის წინადადების მოსასმენად.

კულუარული ცნობებით, ტურინელები არენდას და სეზონის ბოლოს გამოსყიდვის ვალდებულების აღებას გეგმავენ, თუმცა თანხა 50 მილიონს არ უნდა გაცდეს.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია – ბარსელონა დანიელე რუგანის კანდიდატურას განიხილავს. კატალონიელებს სხვა ვარიანტებიც ყავთ, მაგრამ სასურველ სიაში იტალიელი წინა ფლანგზე ფიგურირებს.

მანინო საქართველოში ვერ შემოდის და ხელფასებს აგზავნის

ქუთაისის ტორპედოში მეპატრონის ბედი ჯერ კიდევ ჰაერშია ჰკიდია. აგერ უკვე რამდენი ხანია ქალაქის მერია და ტორპედოს „მყიდველი“ ერთმანეთს არ შეხვედრიან და გადაცემაგადაფორმება არ მომხდარა.

ეს ოფიციალურად, თორემ სავარაუდო მფლობელმა თავი შეგვახსენა – მანინომ კლუბის ვებგვერდზე განცხადება გაავრცელა:

– ძვირფასო ტორპედოს გულშემატკივრებო, ვკითხულობ თქვენს კომენტარებს და ვეცნობი ადგილობრივ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც ჩვენს კლუბში არსებულ სიტუაციასთან არასწორია.

მიუხედავად მთელ მსოფლიოში კორონავირუსით გამოწვეული კრიზისისა, გასული თვის ჩათვლით, კლუბის ყველა ფეხბურთელმა და თანამშრომელმა მიიღო ხელფასი. ჩემპიონატის ახალი ფორმატიდან გამომდინარე, ყველა კლუბის შემოსავალი შეიცვალა (მაგალითად, მატჩების ნაკლები რაოდენობა). დაწესდა სხვა შეზღუდვებიც, რამაც თითოეული კლუბის გეგმები შეცვალა. საქართველომ ბევრი რეისი გააუქმა და უცხოელებისთვის ჩარტერული რეისები მხოლოდ ევროპის 2 ქალაქიდან ხორციელდება. ჩვენი პოტენციური სპონსორები კონტრაქტს ვერ აფორმებენ. ამიტომ წელს ტორპედო მხოლოდ ინვესტორის დაფინანსებით ცხოვრობს.

არსებული პირობებიდან გამომდინარე, ფეხბურთელებთან ხელფასის შემცირებაზე შევთანხმდით. მხოლოდ ერთმა უცხოელმა ფეხბურთელმა განაცხადა უარი ანაზღაურების შემცირებაზე და მას სრულ ხელფასს ვურიცხავდით, მაგრამ დღევანდელ დღემდე მას არც ხელფასზე უთქვამს უარი, არც უჩივლია. ეს ნიშნავს იმას, რომ ის ბედნიერი და კმაყოფილი იყო იმით, რომ ტორპედოდან ფულს იღებდა.

ლაშა კასრაძემ მითხრა, ტორპედოს დატოვება იმის გამო გადაწყვიტა, რომ რუმინეთიდან და კოსოვოდან კარგი შემოთავაზება აქვს. მითხრა, რომ 3-ჯერ მეტ ხელფასს დაპპირდნენ. ხელი არ შევუშალე – ვესაუბრე ჩვენს მწვრთნელებს და მისი გაშვება ვთხოვე. მას კლუბთან კონტრაქტი აკავშირებდა, მაგრამ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაწყვეტა გადავწყვიტე, რადგან ტორპედოსთვის უკეთესი იქნებოდა მისი პოზიციის შევსება ანდრო გიორგაძით, რომელიც უფრო ახალგაზრდაა და მოტივირებულიც ტორპედოში ჩარიცხვით.

რაც შეეხება ივან ბობკოს, ჩვენ გვსურდა მისი შენარჩუნება და მის მოთხოვნას ხელფასთან დაკავშირებით დავეთანხმეთ, მაგრამ მან სამშობლოში გამგზავრება ისე გადაწყვიტა, ჩვენ არ შეგვითანხმდა. ამით მან კონტრაქტი დაარღვია და ტორპედოს ინტერესებს კომპეტენტურ ორგანოში დავიცავთ.

ასევე მინდა აგიხსნათ, რატომ არ ვიმყოფები საქართველოში. ეს გამოწვეულია იმით, რომ არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან საქართველოს მიმართულებით რეისები გაუქმებულია. კორონავირუსით გამოწვეული რეგულაციების გამო კარანტინის გავლის გარეშე არ მაქვს უფლება, სხვა ქვეყანაში გამგზავრების. არსებული წესების თანახმად, კარანტინში გამგზავრებამდეც უნდა ვიყო და შემდეგ – დაბრუნების დროსაც. ვიყიდე ბილეთები სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით, მაგრამ ამ ქვეყნებშიც შეზღუდვებია და საქართველოსთან საზღვრები ჩაკეტილია. ვადასტურებ ჩემს ინტერესს საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით და ადგილობრივი ხელისუფლება ელის ხელმოწერას ხელშეკრულებაზე.

სუარესი ბარსას ემოციურად დაემშვიდობა

ტურინის იუვენტუსში ჩაშლილი ტრანსფერის შემდეგ, ლუის სუარესს მადრიდის ატლეტიკოს ვარიანტი ჰქონდა და გამოიყენა კიდეც. ურუგვაელი დიეგო სიმეონეს გუნდში ითამაშებს.

როგორც ესპანური მედია წერს, მისი გაშვება ახალმა მწვრთნელმა, რონალდ კუმანმა კატეგორიულად მოითხოვა.

სუარესმა ბარსელონაში ბოლო პრესკონფერენცია გამართა, კლუბსა და მის გულშემატკივრებს დაემშვიდობა. „ელ პისტოლერომ“ ემოციები ვერ შეიკავა...

ლუის სუარესი:

– ჩემთვის ეს ძალიან რთულია და სიმართლე გითხრათ, არაფერი მომიმზადებია... პირველ რიგში, მინდა, კლუბს მადლობა გადავუხადო და ყოველთვის მადლიერი ვიქნები იმ დამოკიდებულებისა და მოპყრობის გამო, რომელიც ბარსაში მივიღე.

2014 წლიდან მოყოლებული ბლაუგრანას ჩემი ყოველთვის სჯეროდა და აქ უამრავ მეგობარს ვტოვებ. მინდა, გულშემატკივრებს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო იმ სიყვარულისა და დაფასებისთვის, რომელსაც ჩემ მიმართ იჩენდნენ. ეს არასდროს დამავიწყდება. მნიშვნელობა არ აქვს, სად ვიქნები. ბარსელონას ჩემი სახით ერთი ქომაგი ყოველთვის ეყოლება.

ბარსაში გადმოსვლა ახდენილი ოცნება იყო და ვერ წარმოვიდგენდი ასეთ შედეგებს თუ მივაღწევდი. ბლაუგრანაში გატარებული 6 წლის შემდეგ, გუნდს ამაყი და კმაყოფილი ვტოვებ. ბარსელონასთან ბევრი მოგონება მაკავშირებს. სადებიუტო ჩემპიონობა ლა ლიგაში, ჩემპიონთა ლიგის მოგება, პირველი გოლი ბარსელონაში და ა.შ. ეს ყველაფერი ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება.

ვიცი, რომ ეპოქა დასრულდა, მაგრამ სამუდამოდ ვიამაყებ იმით, რასაც ბარსაში მივაღწიე. არის მომენტები, როცა კლუბს ცვლილებები სჭირდება და თან გუნდის მთავარ მწვრთნელს ჩემი იმედი არ ჰქონდა. ეს მოსალოდნელი იყო. გვერდზე გადგომა ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენდა, მაგრამ კუმანს ვთხოვე, გამოსავლის პოვნამდე ჩემთვის ვარჯიშის უფლება მოეცა და მან თანხმობა განაცხადა.

ირონიულად ჟღერს, მაგრამ, როცა ბარსამ ტრანსფერზე დამაყენა, უამრავი შეთავაზება მივიღე. ჩემი სურვილი კი იყო, მეთამაშა იმ გუნდში, რომელიც ბარსელონასა და რეალს კონკურენციას გაუწევდა და ატლეტიკოც სწორედ ამიტომ ავირჩიე. ახალ გამოწვევას მოუთმენლად ველოდები. ყოფილი გუნდის წინააღმდეგ გამართულ მატჩებს განსაკუთრებული ხიბლი აქვს და იმედია, „როხიბლანკოსთან“ ერთად წარმატებას მივაღწევ.

შეგახსენებთ, რომ ლუის სუარესი ბარსელონას ღირსებას 2014-დან 2020 წლამდე იცავდა და 283 შეხვედრა ჩაატარა. მის ანგარიშზე 198 გოლი და 109 საგოლე პასია.

კაჭარავამ სამტრედია დატოვა

სამტრედია უმწვრთნელოდ არის – კახა კაჭარავამ იმერული კლუბის თავკაცის პოსტი დატოვა. როგორც ირკვევა, პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე დატოვა. თუმცა, თან ასისტენტებიც გაიყოლა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კლუბი მისი მუშაობით კმაყოფილია. აი, რა წერია სამტრედიული კლუბის განცხადებაში:

– საფეხბურთო კლუბი სამტრედია, მთელი შემადგენლობით, მადლობას უხდის მას გაწეული სამუშაოსთვის და წარმატებას უსურვებს მომავალში! მთავარი მწვრთნელის ასისტენტებმა – გელა ინალიშვილმა, იური გაბისკირიამ და კობა ჟორჟიკაშვილმა კლუბი დატოვეს.

სამტრედია მადლობას უხდის მათ გაწეული სამსახურისთვის და წარმატებებს უსურვებს!

შეგახსენებთ, რომ კაჭარავას მოღვაწეობის პერიოდში კლუბმა საქართველოს უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა. აი, ელიტაში კი ერთი რიგითი კლუბი იყო და მიმდინარე სეზონში უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძოდა.

მოამზადა მანეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 2. სიმღერის შესრულება აკომპანიმენტის გარეშე; 3. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 4. ლათინური ამერიკიდან აშშ-ში არალეგალურად შემოსული მუშახელის სახელწოდება; 8. ქართველ მწერალ გიორგი ახვლედიანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. საფრენი აპარატი, მართული აეროსტატი; 11. ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიით კილაძის მუსიკაზე შექმნილი ქართული ბალეტი; 12. ბებერი თხა; 14. ქალაქი ჩეხეთში; 16. მსოფლიოში მოპოვებული ყველაზე დიდი ალმასი; 17. მცენარეული წარმოშობის შაქარი; 19. კომპანია „სონის“ დამფუძნებელი; 21. მამათა მონასტერი.

თარაზულად: 5. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 6. ცუდი გუნებაგანწყობილება; 7. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 10. იაპონელთა ნაციონალური ტანსაცმელი; 13. ესპანური ღვინო; 15. ბიჭვინთაში ქანდაკება „ზღვის“ ავტორი ქართველი სკულპტორი; 18. შეძლებულ გლეხთა სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 20. დიდი დასახლებული პუნქტი; 22. საქართველოში მოღვაწე გერმანელი მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დამფუძნებელი; 23. გასართობად შეთხზული სასაცილო ამბავი; 24. რაიმე მოვლენის განვითარებისა და შედეგების წინასწარი განჭვრეტა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პაროდია; 2. სტეინიცი; 3. კრახუნა; 5. შორაპანი; 7. ანკლავი; 9. ჰიპოლოგია; 13. მარტინი; 15. ოკენცე; 16. კალაძე; 18. ტრევი.

თარაზულად: 4. ბაბუშერა; 6. მსტოვარი; 8. კონტრაგენტი; 10. ხალვაში; 11. პინო; 12. ქვევრი; 14. ბორტი; 17. ლორია; 19. ჰერში; 20. ტალახაძე; 21. ალტი; 22. ხევსურეთი; 23. შილინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კატერი; 2. ოროველა; 3. კადილაკი; 4. მინისტრი; 8. საქსაფონი; 9. ტრიპიტაკა; 11. ბაგრატი; 12. ყავა; 14. ალოე; 16. ღრმაღელე; 17. ტაკელაჟი; 19. ფოლადი; 21. გერბი.

თარაზულად: 5. ლანგუსტი; 6. მონპელიე; 7. ფარვატერი; 10. სამაია; 13. პრიორი; 15. ღვარძლი; 18. არგონი; 20. ალკალა; 22. ფილისტერი; 23. ალავერდი; 24. აბორდაჟი.

სამგლოვიარო განცხადებები

ბექა!

გულის სიღრმიდან ცრემლიან დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო სულის ტკივილო! ორმოცდაშვიდი წელი შეგისრულდა, ჩემო ვაჟკაცო! სწრაფად გაფრინდა წლები. ვიცი, დრო უკან აღარ დაბრუნდება და აღარც არაფერი შეიცვლება. ისღა დამრჩენია, უშენობას შევეგუო, მაგრამ როგორ?.. მენატრები ძალიან, გეფერები, გულში გიკრავ, ჩემო ერთადერთო!

მშვიდად განისვენე, ჩემო დარდო და ტკივილო. ნათელი გეფინოს მარადიულ სასუფეველში, ჩემო სიცოცხლევ!

დედა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2641

ევრო — 3.8226

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1539

100 რუსული რუბლი — 4.2699

ამინდის პროგნოზი 25 სექტემბრისათვის

ჟოზე მოურინიო: „ნაკრების გაწვრთნა მსურს“

ლონდონის ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ მას სურს რომელიმე ნაკრების გაწვრთნა, რადგან მისთვის უცხოა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე თამაშის გამოცდილება და მას უნდა, რომ ეს გამოასწოროს.

მოურინიოს არ დაუკონკრეტებია, თუ რომელი ნაკრების გაწვრთნა სურს:

– ნაკრებში მუშაობას ბევრი სირთულე ახლავს, მაგრამ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე თამაში შესანიშნავი გამოცდილებაა და მინდა, რომ მომავალში ამის შესახებ მეტი გავიგო“.

ზლატან იბრაჰიმოვიჩს კორონა დაუდასტურდა

მილანის ერთ-ერთ ლიდერს ზლატან იბრაჰიმოვიჩს კორონავირუსი დაუდასტურდა.

ჯერჯერობით უცნობია თუ რა ვითარებაში დაინფიცირდა ზლატანი, თუმცა ფაქტია, რომ მას მოუწევს ფეხბურთისგან დასვენება. იბრაჰიმოვიჩისთვის ეს იოლი არ იქნება, რადგან ის საკმაოდ კარგ ფორმაში იყო და იტალიის ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში ორი გოლის გატანაც შეძლო.

თვითონ ფეხბურთელს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

მბაპე: „ჩემი კერპი ბრაზილიელი რონალდო იყო“

პსჟ-ს ლიდერმა კილიან მბაპემ თავის ბავშვობის კერპზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ბრაზილიელი რონალდო იყო, რომელსაც ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ შეედრებოდა:

– როდესაც რონალდოს თამაშებს ვუყურებდი, ვიცოდი, რომ მინდოდა ისეთივე ვყოფილიყავი, რადგან მას საოცარი სტილი ჰქონდა. რონალდო ჩემი კერპი იყო და მის ძველ თამაშებს დღემდე ვუყურებ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ქმარი საწოლში წევს და უყურებს, ცოლი როგორ იწვეთავს წამალს:

– ორი წვეთი მარცხენა თვალში, ორი წვეთი მარჯვენა თვალში, ორი წვეთიც ფეხებშუა.

– და მანდ რატომ? – ეკითხება გაოგნებული ქმარი.

– კარგა ხანია არც ამას დაუნახავს არაფერი!...

●●●

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– არ დაიჯერო, რომ მამაკაცებს მხოლოდ სექსი უნდათ...

– აბა კიდევ რა უნდათ?

– რა და ჩასაცეცხლი...

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– აბა რას შვრები, მიდიხარ სათევზაოდ?

– არა, გადავიფიქრე.

– რატომ?

– ჰოროსკოპში წავიკითხე: დღეს თევზებისთვის იღბლიანი დღე იქნებაო.

●●●

ქალს ეკითხებიან:

– რატომ არ თხოვდები?

– იცით, მინდა, რომ მამაკაცი იყოს განსაკუთრებული, არ აინტერესებდეს ჩემი ბინა, მანქანა, აგარაკი, სამსახური, მემკვიდრეობა და მინდა, რომ მას მხოლოდ ჩემი სული აინტერესებდეს...

– მასეთი მხოლოდ ეშმაკია...

●●●

მათემატიკის გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს:

– ახლა მე თქვენ პითაგორას თეორემას დაგიმტკიცებთ.

– არ გვინდა, მასწ, ისეც გვჯერა.

●●●

მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:

– კილკის კონსერვი მომეცით.

– სადაურს ინებებთ? გვაქვს პორტუგალიური, ფრანგული, ლიტვური და რუსული.

– სულ ერთია, კი არ უნდა ველაპარაკო.

●●●

პატრულმა მანქანა გააჩერა და ხედავს საჭესთან მისი ქართულის მასწავლებელი ზის.

– აბა ახლა, ქეთინო მასწავლებელო, აიღეთ ფურცელი და მასზე ორასჯერ დაწერეთ: „აღარ დავარღვევ მოძრაობის წესებს“...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლიზა ყენია: „არც ერთ გადაცემაში არ დამიძახოთ, თუ არ გექნებათ გათვლილი ჰონორარი“

აცხადებს მომღერალი ლიზა ყენია და ჟურნალისტებს საჯარო განცხადებით მიმართავს:

– მაშინ როცა შენ ხელფასს იღებ იმაში, რო მიგყავს გადაცემა ან ხარ რამე გადაცემის პროდიუსერი მინდა ისიც იცოდე რომ ვისი დახმარებითაც ქმნი გადაცემას ვგულისხმობ სტუმარს, რომელიც თავის ცხოვრების რამდენიმე საათს გითმობს და გიდებს რეიტინგს, უნდა გადაუხადო ფული რადგან ისიც თავის საქმეს აკეთებს , ისიც მუშაობს და ისიც იმსახურებს ანაზღაურებას.

როგორც გინდათ ისე მიიღეთ, მაგრამ არც ერთ გადაცემაში არ დამიძახოთ, თუ არ გექნებათ გათვლილი ჰონორარი. ძაან ახლოებზეც გადის.

როი აბუსელიძე: „პატრონი არ ჰყავს აჭარას!“

პოეტმა როი აბუსელიძემ აჭარაში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე უახლესი ინფორმაცია გაავრცელა:

– ჩემს ირგვლივ რამდენიმე ადამიანს აქვს დადასტურებული კოვიდ 19. რამდენიმე ტესტის პასუხს უშედეგოდ ელოდება და არიან მძიმედ. რომ კვდებოდე და გაესინჯო, სამწუხაროდ, გიწევს ათობით ადამიანის შეწუხება. არ არის ადგილები საავადმყოფოებში. ყოველდღიურად იზრდება დაინფიცირებულთა რაოდენობა, იღუპება ხალხი. რაც არ უნდა თავი ვიმშვიდოთ, არის ქაოსი და პატრონი არ ჰყავს აჭარას! ჰო, არ ჰყავს პატრონი.

ძალიან გთხოვთ, ადამიანები დავუდგეთ ერთმანეთს გვერდით და დავიცვათ მაქსიმალურად ის წესები, რაც საერთაშორისოა და გაზეპირებული გვაქვს. მწვანე ზონა იქცა ჯოჯოხეთად და არანაირი რესურსი არ აქვს ამ ხელისუფლებას. ახლა გინდ ის თქვით პანიკის საფუძველი არააო და გინდ ის – ყველა მოიხდისო. მაგრამ არსებულ რეალობას ჩახედეთ თვალებში და მიხედეთ ერთმანეთს. ტელევიზიებისგან საჭიროა მეტი ყურადღება, მეტი ინფორმაცია. ცუდი სიტუაციაა. ცუდი და თვალს ნუ დახუჭავთ!

ჯაბა ბოჯგუას დედა გულითად მადლობას იხდის

მომღერალ ჯაბა ბოგჯუას დედა მანანა გვასალია გულითად მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, ვინც მისი შვილის 12-წლიან კომაში ყოფნა და ურთულესი მდგომარეობა გადაატანინა:

–არ შეიძლება, რომ დედები აცილებდნენ შვილებს. შვილის სიცოცხლე ძალიან, ძალიან ტკბილია და არანორმალურად ვიბრძოლე მის შესანარჩუნებლად. ჩემზე წერთ ძლიერიაო, მაგრამ დამიჯერეთ, ეს ძალა თქვენ მაპოვნინეთ. ცოცხალი რომ ვარ, მიკვირს. თუმცა ჩემი სიცოცხლე ზუსტად ვიცი, თქვენი დამსახურებაა.

12 წლის განმავლობაში რამდენმა ადამიანმა მაჩუქა თავიდან ჯაბა. სიკვდილამდე მადლობელი ვიქნები და სიკვდილის მერეც ამ ადამიანების. მადლობა ყველა კომენტარისთვის, თქვენი თბილი სიტყვები გვაძლიერებდნენ მე, დედაჩემს და ჯაბას იმ პერიოდშიც და ახლაც, ასეთ დღეებში. მადლობა რომის ქართული სამრევლოს წინამძღვარს, მამა იოანეს (ხელაია), წმ.თამარ მეფის ტაძრის წინამძღვარს, მამა ანტონს და მრევლს, სულიერი და ფიზიკური თანადგომისთვის, თქვენ ხართ საუკეთესო მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ღვთისმსახური. მადლობა მართლაც საამაყო სამეზობლოს. სიკეთეში გადამეხადოს. მადლობა ემიგრანტებს, თქვენს ოჯახებს, ღმერთი დაგიბრუნებთ ამ სიკეთეებს აუცილებლად. მადლობა ჯაბას ექთანს, 12 წლის განმავლობაში ყოველდღიური ენით აღუწერელი თანადგომისთვის. მადლობა საქველმოქმედო კონცერტების ორგანიზატორებს და მონაწილეებს, მასმედიის წარმომადგენლებს. მადლობა ქალაქ თბილისის მერიას, გლდანის და კრწანისის მუნიციპალიტეტებს. მადლობა იმ ადამიანებს, ვინც არ ისურვეს ვინაობის გამხელა და ჩუმად ჩაიდინეს საოცარი სიკეთეები. მადლობა ყველას და სათითაოდ – მეგობრებს, ნათესავებს, ახლობლებს. არ დავიღლები თქვენთვის კეთილი სიტყვებისა და სურვილების გამოგზავნით.

მინდა, ჯაბას სახელი სამუდამოდ გაგრძელდეს მისი სიმღერების სახით. გმადლობთ, გმადლობთ ადამიანებო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

25 სექტემბრისათვის

ვერძი – გეგმები თამამად შეიმუშავეთ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. **ჯარო** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ფინანსებს გაუფრთხილდით. ერიდეთ შორს გამგზავრებას. **ტყუპები** – ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად იღბლიანი დღეა. ვარსკვლავები გწყალობენ. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, მაგრამ არ მოდუნდეთ. ისწავლეთ და იშრომეთ შეუპოვრად. **ლომი** – ახალშეძენილი თანამოაზრეები მიზნის მიღწევაში გეხმარებიან. მთავარია დისციპლინა და ორგანიზებულობა. **ქალწული** – ჩანაფიქრს ნურავის გაუმხელთ, თორემ საქმე ჩაგეშლებათ. ახალგაცნობილი ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ნებისმიერ სიტუაციაში წინდახედულობა გმართებთ. **ღრიანქალი** – რეალობას ნუ მოსწყდებით და ილუზიებს ნუ აჰყვებით. პროფესიული კუთხით მცირე პრობლემები იჩენს თავს. **მშვილდოსანი** – სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. საკუთარი პრინციპები დაიცავით. შეცდომის დაშვებისგან თავი მაქსიმალურად დაიზღვიეთ. **თხის რქა** – ახალგაცნობილი ადამიანები გარკვეულ უსიამოვნებას შეგიქმნიან. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **მერწყული** – პასიური დღეა. საღამოს სასიამოვნო სიახლეებისათვის მოემზადეთ. **თევზები** – სურვილი გისრულდებათ. იაქტიურეთ. საღამოს დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 2. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 3. ქართული ავიაკომპანია; 5. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 7. ისრაელის პარლამენტი; 9. ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებელი ერთ-ერთი ღონისძიება; 13. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 15. ქართული ლუდი; 16. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 18. სასვენი ნიშანი გრამატიკაში.

თარაზულად: 4. ნიჩბოსანთა სავარჯიშო ნავი; 6. წარწერა საფლავის ქვაზე; 8. საზღვაო გადაზიდვების პირობების შემცველი დოკუმენტი; 10. სამყარო როგორც მთლიანობა; 11. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 12. განუხორციელებელი ოცნება; 14. ქართული ტელეკომპანია; 17. ბაღ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 19. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 20. უბანი თბილისში; 21. კანადელ ესკიმოსთა ყინულის ქოხი; 22. ზემდგომი ორგანოების სახელმძღვანელო მითითება, რომლის შესრულება სავალდებულოა; 23. აშშ-ის ელჩი საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა